

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული
განვითარების პროგრამის განხორციელების
წლიური კონსოლიდირებული ანგარიში

საქართველოს რეგიონული განვითარების და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2015 წელი

შესავალი

2015 წლის რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიშის პროექტი მომზადდა იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელებისათვის შემუშავებულ *მონიტორინგის გეგმაშია* გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა რგპ-ის განხორციელების ექვსი თვის ანგარიშს, რომელიც 2015 წლის იანვარ-ივლისის პერიოდს მოიცავს. აღნიშნული ანგარიში დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2015 წლის 23 ოქტომბერს წლის მეორე ნახევარში. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია და მთელი წლის შემაჯამებელი მიმოხილვა მოწოდებულ იქნა შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა უწყებების მიერ, რომლებიც *საინფორმაციო ფურცლების* მომზადებაზე არიან პასუხისმგებელი. ამავდროულად, ანგარიში დამატებით მოიცავს ექსპერტებისგან, სხვა წყაროებიდან და პროგრამის ღონისძიებების განხორციელებაში ჩართულ ინსტიტუციებთან საკონსულტაციო შეხვედრების დროს შეგროვებულ ინფორმაციას, ასევე, საქართველოს რეგიონული უთანასწორობების ანალიზის განახლებულ პროექტს.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებთან, მუნიციპალიტეტებთან, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან, სამხარეო ადმინისტრაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიური წრეების წევრებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან¹ ფართო საკონსულტაციო პროცესის და ასევე, საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის უწყებათაშორისი მონიტორინგის სამუშაო ჯგუფთან განხილვების შემდგომ, ანგარიშის პროექტი მოსაწონებლად წარედგინება საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (რგსკ).

წინამდებარე დოკუმენტი პირველია, რომელიც რგპ-ს მონიტორინგის გეგმის მიხედვით წლიური ანგარიშის ფორმატში მომზადდა. მსგავსად რგპ-ს შუალედური ანგარიშისა, ყველა მონაწილე მხარისთვის საინფორმაციო ფურცლების და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დონეზე საბოლოო, კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც „სწავლა კეთებით“ პროცესი და სამზადისი საქართველოს სტრატეგიების, პროგრამების და გეგმების არსებულ, ფორმულირებულ² მართვის სისტემაში მონიტორინგის მეთოდებისა და ტექნიკის უფრო ფართო დანერგვისთვის.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას.

¹ საკონსულტაციო პროცესის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2 : საკონსულტაციო პროცესი

² საქართველოს მთავრობის მუშაობა საქართველოს რეგიონული პოლიტიკისა და განვითარების დაგეგმვის შესახებ საქართველოს კანონზე, რომელშიც განსაზღვრულია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პროგრამირების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა, მალე უნდა დასრულდეს.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება 2015 წლის დასაწყისში დაიწყო. 2015 წლის ბოლოსთვის რგპ-ში მოცემული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებმა 1,166.3 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც თავდაპირველად რგპ-ის ფარგლებში, 2015 წლისთვის გამოყოფილი თანხების 90.3%-ია, ან 93.3% 2015 წლის დეკემბერში შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად. ეს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ წლის პირველი ნახევრის შედეგებს, რომელიც 380.6 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი წლიური თანხის მხოლოდ 29.7% იყო. 2015-2017 წლების რგპ-ს განხორციელების ასეთი კარგი შედეგები საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს რეგიონული განვითარების შესახებ საფინანსო ჩარჩო შეთანხმებაში გაწერილი პირობები. ეს ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2014 წლის ნოემბერში გაფორმდა და მის თანახმად, **ფინანსური გეგმის ფარგლებში გამოყოფილი თანხების სულ მცირე 70%-ის ათვისება უნდა მომხდარიყო.**

წლის მეორე ნახევარში დაფიქსირებული გაუმჯობესება შეიძლება დავუკავშიროთ იმ შემაკავებელ ფაქტორებს, რომელთაც გავლენა იქონიეს წლის პირველი ნახევრის უმეტეს ღონისძიებებზეც. ეს ფაქტორები იყო თავდაპირველი მოსამზადებელი და სატენდერო პროცედურები და მკაცრი კლიმატური პირობები, რამაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი შეანელა. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში, ღონისძიებების უმეტესობის ფარგლებში, (განსაკუთრებით აღსანიშნავია გზების, წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურა) ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების კუთხით მიღწეულ კარგ პროგრესს, წლის მეორე ნახევარში, რგპ-ს ფინანსური განხორციელების მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვა.

წლის პირველ ნახევარში, ფინანსური შესრულების კუთხით, პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს შორის თვალსაჩინო განსხვავებები აღინიშნებოდა. ეს მდგომარეობა წლის მანძილზე შეიცვალა და 2015 წლის ბოლოს ყველა პრიორიტეტი, გარდა ერთისა (პრიორიტეტი 2 - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება), თანხების გახარჯვის პროცენტულობის (100%-იან სამიზნესთან ახლოს) თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი იყო. მათ შორის ყველაზე წარმატებული პრიორიტეტი #4 „ტურიზმის განვითარება“ (თავდაპირველად გამოყოფილი თანხების 230%, ხოლო დეკემბერში დაზუსტებული ბიუჯეტის მონაცემებით - **100%**). თავდაპირველად გამოყოფილი თანხების მიხედვით, „გადახარჯვა“ ძირითადად გამოწვეული იყო, წლის მანძილზე, სამთავრობო პოლიტიკის შესაბამისად, ბიუჯეტის შესწორებების, წინა წლების დანაზოგებისა და „საკუთარი რესურსების“, მაგალითად სატენდერო თანხების დაზოგვის ან კომერციული აქტივობებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე დამატებითი სახსრების მობილიზებით.

თუმცა ღონისძიებების უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ცალკეული ქვე-ღონისძიებების აქტივობების განხორციელების ტემპებში მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნებოდა.

თუ პროგრესზე დაკვირვებას განვაზოგადებთ, ყველაზე წარმატებული ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით განხორციელდა:

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, სადაც წლის განმავლობაში, **474.1** მილიონი ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდა (**98.8%**);
- ტურიზმის პოპულარიზაცია, რომლის ფარგლებშიც, შედარებით მცირე საჯარო დანახარჯებით და ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრის გათვალისწინებით, ჩამოსული ტურისტების რაოდენობის და შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა გაცილებით სწრაფად მიიღწევა;
- სოფლის მეურნეობისა და სოფლების განვითარება;

- მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, რაც საქართველოს მთავრობისთვის მკაფიოდ გამოკვეთილ პრიორიტეტებს წარმოადგენს.

მაღალბიუჯეტიანი ღონისძიებებიდან განხორციელების ყველაზე დაბალი ტემპები აღინიშნება 2.1 ღონისძიების ფარგლებში - მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა - სადაც 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით გამოყოფილი თანხების მხოლოდ 76.5% იყო ათვისებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რგპ-ს შესრულებაში არ იგულისხმება თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული პროექტები.

2015-2017 წლების რგპ-ს **ფიზიკური** განხორციელების პროგრესი დადგენილ სამიზნეებთან მიმართებაში შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- უმეტეს შემთხვევაში ღონისძიებებმა 2015 წლისთვის დასახულ ფიზიკურ სამიზნეებს მიაღწიეს და მათი განხორციელების ტემპებით თუ ვიმსჯელებთ, 2017 წლისთვისაც წარმატებით მიაღწევენ დადგენილ შედეგებს.
- წლის განმავლობაში დაფინანსების შემცირებას, რაც ყველაზე მწვავედ გზებისა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდს შეეხოთ, ფიზიკური სამიზნეების მიღწევის შესაძლებლობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ.
- ბევრი ინფრასტრუქტურული ღონისძიების თვალსაზრისით, ფიზიკური პროგრესის შეზღუდვა ამინდით და კლიმატური პირობებით იყო გამოწვეული, რამაც განხორციელების ტემპები შეანელა, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში.
- ზოგიერთი ღონისძიების შემთხვევაში ფიზიკური პროგრესი მოსალოდნელზე დაბალი იყო, რაც შესაბამისი სახსრების ნაკლებობით იყო გამოწვეული.

მთლიანობაში, 2015 წლის რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: თბილისი - ქუთაისი - ბათუმის 29 კმ-იანი სამანქანო გზის მშენებლობა, 44 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაცია, დაიხურა 13 ძველი ნაგავსაყრელი და მოხდა 15 ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია, ქალაქებში 4700-ზე მეტი ახალი აბონენტი დაუკავშირდა წყალმომარაგების სისტემას, ხოლო 900-ზე მეტი - წყალარინების სისტემას, მოხდა 40 000 ტონა საშიში ნარჩენების უსაფრთხო განთავსება. რეგიონებში ჩამოყალიბდა 610 მიკრო და მცირე ბიზნესი; განხორციელდა 44 ირიგაციის პროექტი; ტურიზმის პოპულარიზაციის აქტივობებში გადამზადდა 1200 ადამიანი; კონკრეტულ რეგიონებში განახლდა და აღიჭურვა 17 პროფესიული სწავლების კოლეჯი; საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეგიონებში 2300-ზე მეტი საჯარო მოხელე გადამზადდა. ამასთან, ჩატარდა მთელი რიგი კვლევები, მოხსენებები და ანალიზი სოციო-ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების მიმართულებით, რეგიონებში შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და შემდგომი განხორციელების მიზნით. რეგიონული განვითარების ფონდმა 600-ზე მეტი, უმეტესად მცირე მოცულობის პროექტი დააფინანსა, რომლის ფარგლებშიც მოხდა 436 კმ გზების, 552 კმ წყალმომარაგების სისტემის, 52 საბავშვო ბაღისა და 22 სპორტული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

რაც შეეხება **2015 წელს მიღწეულ შედეგებს, რგპ-ს განხორციელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს და ცალკეული რეგიონების განვითარებისთვის საჭირო სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით კი საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის გზებისა და წყლის ინფრასტრუქტურის, წყალარინების სისტემების, რეაბილიტირებული ნაგავსაყრელებისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. რგპ-ს შედეგების ზუსტი მონაცემები და ანალიზი პროგრამის განხორციელების ბოლოს ჩატარებული შეფასების შემდეგ იქნება ხელმისაწვდომი.**

2015-2017 წლების რგპ-ის განხორციელების ამ ეტაპზე, ასევე **შეუძლებელია რეგიონულ გამოთანაბრებაზე პროგრამის გავლენის რაოდენობრივი შეფასება.** ამისთვის უფრო დეტალური და კომპლექსური ანალიზებისა და შეფასებების ჩატარებაა საჭირო, რაც მხოლოდ პროგრამის დასრულების (2017წ.) შემდეგ იქნება შესაძლებელი. 2015 წელს რგპ-ის ფარგლებში რეგიონებისთვის გამოყოფილი სახსრების **მნიშვნელოვნად დიდი წილი** მოხმარდა იმერეთს

(34%). ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმერეთი საქართველოში (თბილისის შემდეგ) ყველაზე მეტად დასახლებული რეგიონია და სწორედ აქ განხორციელდა ყველაზე დიდ ხარჯებთან დაკავშირებული სამუშაოები. შემდეგმა ორმა რეგიონმა, სამეგრელო-ზემო სვანეთმა და ქვემო ქართლმა რეგიონებისთვის გათვალისწინებული მთლიანი ხარჯების 14.6% და 12.7% მიიღო. რგპ-ს ფარგლებში რეგიონებისთვის გათვალისწინებული თანხების ყველაზე მცირე პროცენტული წილი მოდის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე - 2.4%. ზოგადად, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანაბარი განაწილების მექანიზმიდან გამომდინარე, ნაკლებად დასახლებულ და ზოგადად, ღარიბ რეგიონებში, როგორცაა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და მცხეთა - მთიანეთი (ნაწილობრივ ძალიან ღარიბი), ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი თანხის ოდენობა ყველაზე მაღალია. ამ სახსრების წყალობით ღარიბ რეგიონებს საშუალება ეძლევათ ნაწილობრივ დააკმაყოფილონ თავიანთი ინფრასტრუქტურული საჭიროებები და ჩაერთონ მთელი ქვეყნის განვითარების პროცესში.

რგპ-ს განხორციელებაზე მთელი წლის განმავლობაში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ფაქტორმა მოახდინა გავლენა; მათ შორისაა მაკროეკონომიკური და ფინანსური პირობები, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატასტროფები. მთლიანად შესრულების კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება და ზემოთაღნიშნული კლიმატური პირობები.

საქართველოში სოციალური და ფინანსური მდგომარეობა სტაბილური რჩება, თუმცა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, რგპ-ს ფინანსურ ცხრილში ცვლილებების შეტანის საკითხის აუცილებლობა დგება. ასევე, ყურადსაღებია ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების საჭიროება და თანადაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების უფრო ეფექტიანი კოორდინაციის საჭიროება სახელმწიფოსა და დონორ ორგანიზაციებს შორის. ანგარიშში მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავს მომდევნო წლებში რგპ-ს განხორციელების გაუმჯობესებას და საქართველოში რეგიონულ გათანაბრებას. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია:

- საქართველოს მმართველობითი სისტემის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების გაგრძელება. რათა ევროკავშირის სტანდარტების თანახმად შესაძლებელი იყოს პროგრამირების, განხორციელებისა და მონიტორინგის ჩატარება;
- საჭიროა უწყვეტი მუშაობა 2015-2017 წლების რგპ-ის მონიტორინგის პროცესის საიმედოობისა და სიზუსტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
- სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა, განსაკუთრებით ერთსა და იმავე დარგში მოქმედ, დაინტერესებულ მხარეებს შორის (მაგ. მგფ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონული განვითარების ფონდი) უკეთესი კოორდინაციის საჭიროება;
- იმისათვის, რომ მოხდეს პროექტების უფრო სწრაფი ტემპით განხორციელება, ზოგიერთი ღონისძიება საჭიროებს მოსამზადებელი პროცესის (პროექტის აღწერილობა, დოკუმენტაციის მომზადება, ხარჯების კალკულაცია) საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფას.
- რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებზე დაყრდნობით, რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისთვის მეტი თანხის გამოყოფა.


ნაწილი 1. საანგარიშო პერიოდში 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების შესახებ ძირითადი ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია რეგიონული განვითარების პროგრამის ფინანსური და ფიზიკური პროგრესის სიღრმისეული ანალიზი. შერჩეული ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოყვანილია შესაბამის ნახევარწლიურ საინფორმაციო ფურცლებში, რომლებიც მომზადდა ყველა ჩართული სამინისტროს მიერ და მიეწოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2015 წლის ნოემბრის ბოლოს (ქართულად), ხოლო ინფორმაცია შეჯამებულია დანართ 1-ში.

- მეორე - 2015 წლის ნოემბრის მონაცემები, რომელიც შესწორებულ სახელმწიფო ბიუჯეტს ეყრდნობა. საჯარო ფინანსების და მთლიანდ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტი 2015 წლის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა - ბიუჯეტში ბოლო შესწორება 2015 წლის ბოლოს მოხდა.³

გრაფიკი 1. რგპ-ს ფარგლებში დადგენილი ხარჯების შედარება: თავდაპირველი (2014 წლის დეკემბრის) და სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო ცვლილება (2015 წლის დეკემბერი).



საანგარიშო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება.

- 3.3 - “სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“ (62.8 მლნ ლარიდან 152.9 მლნ ლარამდე). ამავდროულად, ფინანსური კუთხით, ასიგნებების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა ღონისძიებებისთვის - 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, სადაც 638.7 მლნ ლარიდან - 474.3 მლნ ლარამდე შემცირდა

ფინანსური პროგრესის შეჯამება

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება 2015 წელს დაიწყო. 2015 წლის ბოლოსთვის რგპ-ში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებმა 1,166.3 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც 2015 წლის შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის **93.3%**-ს შეადგენს. თავდაპირველი, 2014 წლის დეკემბრის ბიუჯეტის გეგმის მიხედვითაც კი, შესრულება **90.3%**-ს აღწევს.

ორივე შემთხვევაში, შესრულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია ევროკავშირის საფინანსო შეთანხმების **2016 წლის შესრულების პირობასთან - გეგმის მიხედვით გამოყოფილი ასიგნებების მინიმუმ 70%-იანი ათვისება.**

წლის მეორე ნახევარში დიდი გაუმჯობესება შეიძლება აიხსნას წლის პირველი ნახევარში იმ შემაფერხებელი ფაქტორებით, რომლებიც მთავარი ღონისძიებების განხორციელებაზე ახდენდა გავლენას, როგორცაა საწყის ეტაპზე პროექტების მომზადების და სატენდერო პროცესები და ცუდი კლიმატური პირობები, რამაც წლის პირველ ნახევარში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი მნიშვნელოვნად შეანელა. ღონისძიებების უმრავლეს შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების კუთხით დაფიქსირებული კარგი პროგრესის შედეგად, (განსაკუთრებით გზები, წყლის მიწოდება და წყალარინების ინფრასტრუქტურა) წლის მეორე ნახევარში რგპ-ის ფინანსური განხორციელება მნიშვნელოვნად გაიზარდა.


სამიზნე ღირებულებებთან მიმართებაში გადახარჯვა, ძირითადად, შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარეობს: წლის განმავლობაში საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ხელმისაწვდომი თანხებით, წინა წლის დანაზოგებისა და საკუთარი სახსრების გამოყენებით. მაგალითად, სატენდერო ასიგნებებიდან დარჩენილი დანაზოგები და კომერციული აქტივობებიდან მიღებული შემოსავალი.

ფინანსური შესრულების კუთხით, წლის პირველ ნახევარში, პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა, რომელიც წლის განმავლობაში შეიცვალა და 2015 წლის ბოლოსთვის, ერთი პრიორიტეტის გარდა (პრიორიტეტი 2 - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება), გახარჯული თანხის პროცენტული მაჩვენებლის კუთხით, ყველა პრიორიტეტის შესრულება დამაკმაყოფილებელია, მათ შორის ყველაზე წარმატებით განხორციელდა პრიორიტეტი 4 - „ტურიზმის განვითარება“ 100% და პრიორიტეტი 1 - ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა (98.5%).

წლის მეორე ნახევარში ბევრი ღონისძიების ხარჯვითი წილი გაიზარდა, ასე, რომ წლის ბოლოსთვის პრიორიტეტებისა და ღონისძიებების უმრავლესობამ ამ მიმართულებით, რგპ-ს სამიზნე ღირებულების 100%-ს მიაღწია.

გრაფიკი 2. რგპ-ს 2015 წლის წლიური ფინანსური ასიგნებების ჩაშლა პრიორიტეტებისა და რეგიონული განვითარების ფონდის მიხედვით (2015 წლის დეკემბერში შესწორებული ბიუჯეტის ციფრები) - მილიონ ლარში:


სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტებისა და რგპ-ს მიხედვით, 2015 წ. დეკემბრის მდგომარეობით, მლნ ლარი




თუ დავაკვირდებით განხორციელების პროგრესს, როგორც პრიორიტეტის, ასევე ინდივიდუალური ღონისძიების დონეზე, დავინახავთ, რომ ინდივიდუალური ქვე-ღონისძიებების აქტივობების განხორციელების ტემპი განსხვავებულია.

გრაფიკი 3. 2015 წელს რგპ-თვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში პრიორიტეტის დონეზე 2015 წლის დეკემბრამდე გახარჯული თანხის პროცენტული მაჩვენებელი (2015 წლის დეკემბრის შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით):

პრიორიტეტების მიხედვით რგპ-ს ფინანსური შესრულება დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით (%)




გრაფიკი 4. 2015 წელს რგპ-თვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში პრიორიტეტის დონეზე 2015 წლის დეკემბრამდე გახარჯული თანხის პროცენტული მაჩვენებელი (2014 წლის დეკემბრის თავდაპირველი ბიუჯეტის გეგმის მიხედვით):



შესწორებული ბიუჯეტის ციფრების გათვალისწინებით გამოყოფილი თანხის ხარჯვის პროცენტული მაჩვენებლის კუთხით, ყველაზე წარმატებით განხორციელდა პრიორიტეტი 4 – „ტურიზმის განვითარება“ – 99.7%, რომლის ფარგლებშიც შედარებით ნაკლები სახელმწიფო ფინანსები გამოიყოფა, მაგრამ თუ ქვეყნის ბუნებრივ და კულტურულ სიმდიდრეს გავითვალისწინებთ, ტურისტების რაოდენობისა და შესაბამისად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა შედარებით სწრაფად მიიღწევა. ღონისძიებების დონეზე, განხორციელების ყველაზე დიდი მაჩვენებელი შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით დაფიქსირდა:

- 5.5 - საჯარო მოხელეთა ტრენინგები რეგიონებში - **169.6%**;
- 5.3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლება და ექსტენციის სისტემები - **166,7%**;
- 1.3 წყლის მიწოდება, კანალიზაციის და წყალარინების სისტემები - **101,3%**;
- 3.2 ფინანსებზე წვდომა (სოფლის მეურნეობა) - **100%**;
- 5.2 - ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების - **100%**;
- 4.1 - ტურიზმის ხელშეწყობა - **99.7%**. გამოყოფილი ბიუჯეტის ასეთი გადახარჯვა, ნაწილობრივ, აიხსნება იმით, რომ მთავრობის მიერ ტურიზმის ხელშეწყობის პრიორიტეტად დასახელების შემდგომ, 2015 წელს მთელი რიგი მარკეტინგული და სარეკლამო ღონისძიებებისთვის, მათ შორის საზღვარგარეთ და საქართველოს ფარგლებში მედია კამპანიების ორგანიზებისთვის, დამატებითი სახსრები გამოიყო;
- 1.1 - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები - **98.8%**;

გრაფიკი 5. 2015 წლის ბოლოს პრიორიტეტის დონეზე 2015-2017 წლების რგპ-ის განხორციელების პროგრესი



შედარებით დაბალი განხორციელების ტემპი დაფიქსირდა ღონისძიებისთვის 2.1 - მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის დეკემბრის ბოლოსთვის გამოყოფილი თანხის **76.5%** გაიხარჯა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველ ნახევარში ღონისძიება 5.2 - „*არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა*“ დაბალი ტემპით ხორციელდებოდა, მისი მთლიანი წლიური შესრულება პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მიღწეული განხორციელების პროგრესი გეგმის **100%-**ია.

ღონისძიების ფარგლებში 3.4 „სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება“, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს, აქტივობების დაწყება 2016 წლისთვის გადაიდო, ამიტომ ღონისძიების განხორციელების პროგრესი არ დაფიქსირებულა.

ფიზიკური პროგრესის შეჯამება

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ფიზიკური პროგრესის აღწერისას გარკვეული განმარტებების მოყვანაა საჭირო. რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართში N5, რომელიც რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2014 წლის დეკემბერში მოიწონა, ინდივიდუალური ღონისძიებებისთვის გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებია გაწერილია, თუმცა, სამიზნეებთან მიმართებაში მათი რაოდენობრივი განსაზღვრა არ მომხდარა არც 2015 და არც 2016-2017 წლებისთვის. 2015 წლის პირველ ნახევარში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ევროკომისიის თხოვნით, სამინისტროების ძალისხმევით დასახული ინდიკატორებისთვის სამიზნე ღირებულებების განსაზღვრა მაინც მოხერხდა (2015 წლისთვის). იმ შემთხვევებში, როდესაც სამინისტროების შეფასებით შეთანხმებული ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრა მონაცემების სიმცირის თუ პროექტების მონიტორინგის სისტემის განსხვავებულობის გამო, შეუძლებელი იყო, მათ მიერ ახალი ინდიკატორები იქნა შეთავაზებული. ამიტომ მყისიერი შედეგების ცხრილი წარმოადგენს მნიშვნელოვნად შეცვლილ ფიზიკური ინდიკატორების განხორციელების პროგრესს და მათ სამიზნეებს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რგპ-ის მონიტორინგის გეგმის დანართში #5.

დანარჩენი ხარვეზები, რომელიც ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრას უკავშირდება (ღონისძიებისთვის 1.3 - „წყლის მომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია“; ნაწილობრივ ღონისძიებისთვის 3.3- „სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“; 4.1- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; 5.3- სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ინოვაციების სისტემები და სხვები) სამინისტროების მხრიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ამ სამიზნეების განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებების და მთლიანად 2015-2017 წლების რგპ-ს ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებისთვის.

რაც შეეხება რეგიონული განვითარების პროგრამის უფრო ფართო, **საშუალო და გრძელვადიან შედეგებს**, მათი შეფასება 2015-2017 წლის რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების დასრულებისას იქნება შესაძლებელი. ზოგიერთი შედეგის ინდიკატორი განსაზღვრულია შესაბამის ღონისძიების ცხრილში, თუმცა სამიზნეები იშვიათადაა დადგენილი. გარდა ფიზიკური მყისიერი შედეგებისა, სამინისტროებსა და განმახორციელებელ სააგენტოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ეთხოვათ მათ მიერ მომზადებულ წლიურ საინფორმაციო ფურცლებში 2015 წლის ბოლოსთვის მიღებული შედეგების შეფასებაც წარმოედგინათ. ეს შეფასება ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების ფიზიკური პროგრესის შესახებ ინფორმაციასთან ერთად მოცემულია ქვემოთ. საინფორმაციო ფურცლებსა და ასევე, სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მიერ დამატებით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2015-2017 წლების რგპ-ს ფიზიკური განხორციელების პროგრესი დადგენილ სამიზნეებთან მიმართებაში შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- უმეტეს შემთხვევაში 2015 წელს ღონისძიებების ფარგლებში დადგენილი ფიზიკური სამიზნეები მიღწეულ იქნა და 2017 წლისთვისაც მიიღწევა;
- წლის განმავლობაში ასიგნებების შემცირებამ, განსაკუთრებით გზების მშენებლობის კუთხით, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია თავიანთი სამიზნეების მისაღწევად;
- ბევრი ინფრასტრუქტურული ღონისძიების გათვალისწინებით, ფიზიკური პროგრესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო ამინდითა და კლიმატური პირობებით, რომელიც ღონისძიებების განხორციელების პროცესს აფერხებდა, განსაკუთრებით კი წლის პირველ ნახევარში;
- არასაკმარისი ფინანსების გამო ზოგიერთი ღონისძიების ფიზიკური შესრულება მოსალოდნელზე ნაკლები იყო.

2015 წელს, სულ რგპ-ს ფარგლებში: თბილისი- ქუთაისი-ბათუმის გზის დერეფანში აშენდა 29 კმ საავტომობილო გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 44 ხიდს, დაიხურა 13 ძველი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15 ნაგავსაყრელს, 4700 აბონენტზე მეტი წყალმომარაგების სისტემაში ჩაერთო, ხოლო ქალაქად 900 აბონენტზე მეტი წყალარინების სისტემებს დაუკავშირდა; უსაფრთხოდ იქნა განთავსებული 40,000 ტონა სახიფათო ნარჩენი, გადამზადდა 1200 ადამიანი ტურიზმის სარეკლამო ღონისძიებებში, კონკრეტულ რეგიონებში გარემონტდა და აღიჭურვა 17 პროფესიული განათლებისა და სწავლების კოლეჯი, საჯარო სამსახურის ხარისხის, კვლევების, ანგარიშების და ანალიზის გაუმჯობესებისთვის, რომელიც სოციო-ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების თვალსაზრისით, საჭიროა პოლიტიკის შემუშავებისა და მისი სხვადასხვა სფეროში განხორციელებისთვის; რეგიონებში 2300 საჯარო მოხელე გადამზადდა, რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 600-ზე მეტი პროექტი, რომლის შედეგადაც აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 436 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, 552 კმ წყალმომარაგების სისტემებს, 52 საბავშვო ბაღს და 22 სპორტულ ნაგებობას.

რაც შეეხება 2015 წელს მიღწეულ შედეგებს უდავოა, რომ რეგიონული განვითარების პროგრამამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე, განსაკუთრებით კი შემდეგ სფეროებზე: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები და წყლის ინფრასტრუქტურა, წყალარინებისა და მყარი ნარჩენების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარება, თუმცა, ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, ახლო მომავალში მინიმუმ შემდეგი საკითხების გადაჭრა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა პროგრამამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გაცილებით მასშტაბური გავლენა იქონიოს:

- ადამიანური რესურსების განვითარებისთვის ხელმისაწვდომი რესურსის სიმცირე;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის (სოფლის მეურნეობის სექტორის მიღმა) გამოყოფილი (დახარჯული) მოკრძალებული ფინანსური რესურსები;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) ხელშეწყობისთვის და უმაღლესი განათლების სისტემას, ბიზნესსა და ადმინისტრაციას შორის კავშირების განვითარებისთვის არასაკმარისი ფინანსები, რომელიც დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი) ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოებასა და აბსორბციის კუთხით, საქართველოს შესაძლებლობების განვითარებას უდავოდ შეუწყობს ხელს.
- მრავალსექტორული კოორდინაციის ეფექტური სისტემის არარსებობა, რომელიც სხვადასხვა სამინისტროებისა და სააგენტოების განკარგულებაში არსებული ფინანსების ინტეგრირებული და თანმიმდევრული განკარგვის საშუალებას უზრუნველყოფს.

მიღწეული მყისიერი შედეგების და საბოლოო შედეგების შეჯამება (უფრო დეტალურად იხილეთ დანართი 1)

ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

2017 წლისთვის დადგენილი სამიზნეების მიღწევის კუთხით საკმაოდ კარგი პროგრესი შეიმჩნევა. ეს ღონისძიება მკაფიო ეკონომიკური პრიორიტეტია და 2017 წლის სამიზნეები რეალისტურია, რომ მიღწეულ იქნეს. მთავრი მიზანი 2017 წლამდე 80 კმ ავტომაგისტრალის მშენებლობაა, რომელიც თბილისი-ქუთაისი-ბათუმის- საქართველოს მთავარი სატრანზიტო კვანძის უკეთ დაკავშირებას უზრუნველყოფს. 2015 წელს სამუშაოები იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში კონცენტრირდებოდა, რაც ქვეყნისა და აღნიშნული რეგიონების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების სტიმულირებას უწყობს ხელს.

ლონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	2 ნახევარი	სულ
1.1 საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	გზების რეაბილიტაციის და პერიოდული მოვლა-პატრონობის სამუშაოები	კმ	700 (2017)	55	199	254
	საავტომობილო გზის მშენებლობა	კმ	80 (2017)	12,5	17	29
	ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია	ერთეული	120 (2017)	10	34	44

ლონისძიება 1.2 მყარი ნარჩენების მართვა

2017 წლისთვის დადგენილი ინდიკატორების კუთხით კარგი პროგრესი შეიმჩნევა. ამ ღონისძიების მიზანია გარემოს დასუფთავების გზით და მყარი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების უკეთესი ორგანიზებით, თავისი წვლილი შეიტანოს მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და ბიზნეს შესაძლებლობების განვითარების საქმეში.

ლონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.2 მყარი ნარჩენების მართვა	ახალი ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	0	0		0
	დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	17 (2015)	0,0	13,0	13,0
	რეაბილიტირებული ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	22 (2017)	9,0	6,0	15,0

ლონისძიება 1.3 წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია

ამ ნაწილში დადგენილი სამიზნეების ნაკლებობა შეიმჩნევა. ამ ღონისძიებას ორი უწყება ახორციელებს: მუნიციპალური განვითარების ფონდი და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. ღონისძიების მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს ცხოვრების დონის და ბიზნესის შესაძლებლობების განვითარებაში რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა მიმდინარეობს. უწყებებსა და დონორებს შორის ეფექტური კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება არსებობს.

დონისპიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.3 წყალმომარაგება და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)	აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	აშენებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	ახალად გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული წყალარინების სისტემის მიწების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	0,24	0	0,24
	რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული წყალმომარაგების მიწების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	43	76	119
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყალარინების სისტემას დაუკავშირდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	296	315	611
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყლის სისტემას შეუერთდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	525	450	975
1.3 წყალმომარაგება, წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია (მგფ)	აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	აშენებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0

	ახალად გამრიცხველიანე ბული აბონენტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	925	2802	3727
	რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული წყალარინების სისტემის მიწების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	0,24	0	0,24
	რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული წყალმომარაგების მიწების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	181	305	485
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყალარინების სისტემას დაუკავშირდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	296	0	296
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყლის სისტემას შეუერთდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	925	2802	3727

ღონისძიება 1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და მისგან დაცვა და ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების მართვა

ამ ღონისძიების განხორციელება ხელს უწყობს ბუნებრივი კატასტროფების უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას და დაბინძურებული ნიადაგის შედეგად გამოწვეული რისკების შემცირებას გარემოსა და ჯანდაცვაზე. ზოგადად, 2017 წლისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად პროგრესი კარგად მიმდინარეობს, თუმცა რესურსების ნაკლებობამ მომავალში, განსაკუთრებით ეს ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების მართვას უკავშირდება, შესაძლოა განხორციელების პროგრესის შენელება გამოიწვიოს.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	სულ
1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და მისგან დაცვა და ძველი დაბინძურებული სამრეწველო	ანალიტიკური კვლევების რაოდენობა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების განსაზღვრას,	რაოდენობა		1	4	5

ობიექტების ტერიტორიების მართვა	მათ შორის რეკომენდაციებიც					
	რეგიონული ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების პროგნოზირების ადრეული გაფრთხილების სისტემა	რეგიონების რაოდენობა		0	3	3
	ბუნებრივი საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების მუნიციპალური გეგმები	რაოდენობა	ყველა მოწყვლადი მუნიციპალიტეტებისთვის	1	1	1
	ნაპირსამაგრი სამუშაოები	პროექტების რაოდენობა	50 (2017)	11	10	21
	პრევენციისა და ბუნებრივი კატასტროფების დაუყოვნებელი რეაგირების სამუშაოები	პროექტების რაოდენობა	70 (2017)	22	9	31
	უსაფრთხოდ განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობა	ტონა	50,000 (2015)	40 000		40 000

ღონისძიება 1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

ამ ღონისძიების ფარგლებში დადგენილი სამიზნეების მიღწევის კუთხით კარგი პროგრესი შეიმჩნევა, გარდა ერთი სამიზნისა - სატყეო გზების (კმ) მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა. ამ ღონისძიების დიდ მნიშვნელობას საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ბუნებრივი რესურსი და ეკონომიკური თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი - ხე-ტყე განსაზღვრავს.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	ნორმატიული დოკუმენტების რაოდენობა (ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზა)	რაოდენობა	2	2		2
	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში გადამზადებული სპეციალისტების რაოდენობა	რაოდენობა	300 (2015) 900 (2017)	240	60	300

ტყის სანიტარული პირობების გაუმჯობესება	ჰა	26,800 (2015)	26000		26000
		86,800 (2017)			
სატყეო გზების რეაბილიტაცია	კმ	250 (2015)	0	123	123
		750 (2017)			
ტყის მდგრადი მართვის კონცეფცია					0
რეგიონული სატყეო რაიონების რაოდენობა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუმენტებით	რაოდენობა	46 (2015)	46	0	46

ღონისძიება 2.1 ინსტიტუციონალური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა

ეს ღონისძიება ქვეყნის და ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ამ ეტაპზე მცირე რესურსები გააჩნია. დადგენილ ფინანსურ ინდიკატორთან მიმართებაში არც თუ ისე მაღალი პროგრესის მიუხედავად, ფიზიკური სამიზნეები მიღწეულია და ზოგ შემთხვევაში 2 ან 3-ჯერ გადაჭარბებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოთხოვნა ამ ტიპის აქტივობებზე საკმაოდ მაღალია.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
2.1 ინსტიტუციონალური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა	ახლად შექმნილი ბიზნესები	ბიზნესების რაოდენობა	44 (2015)	10	16	26
	განახლებული ბიზნესები	ბიზნესების რაოდენობა	20 (2015)	12	25	37
	პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ღირებულება	მლნ ლარი	145 (2015)	39	57	96
	მთლიანი ინვესტიცია	მლნ ლარი	210 (2015)	57	75	132
	რეგიონებში შექმნილი მიკრო და მცირე ბიზნესები (მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ნაწილი)	რაოდენობა	3 030 (2017)	0	610	610
	ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები	რაოდენობა	2 530 (2015)	0	1130	1130

	გადამზადებული ბენეფიციარები (მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ნაწილი)	რაოდენობა	5 800 (2017)	0	3118	3118
--	-----------------------------------------------------------------------------	-----------	--------------	---	------	------

ღონისძიება 3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზაცია

ამ ღონისძიების ფარგლებში მიღწეული ფიზიკური პროგრესი დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა სამიზნეების განსაზღვრა უნდა გაუმჯობესდეს. ღონისძიება არსებითად მნიშვნელოვანია ეფექტიანი სოფლის მეურნეობისთვის პირობების გაუმჯობესების კუთხით. 2015 წელს დამატებითი სახსრები გამოიყო ამ ღონისძიებისთვის, რაც მისი საჭიროების და ქართული ეკონომიკისთვის მისი მნიშვნელობის დონეს განსაზღვრავს.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.1 სარწყავი წყლის მართვის გაუმჯობესება	რეაბილიტირებული და ახალი ირიგაციის პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე	18	26	44
	დამატებით გასარწყავებული მიწის ნაკვეთების ფართობი	ჰა	199	4 123	8 284	12 407
	გამართული სადრენაჟო სისტემის მქონე მიწის ფართობი	ჰა	18,600 (2017)	975	1 020	1 995

ღონისძიება 3.2 გაუმჯობესებული წვდომა ფინანსებზე

აგრო ბიზნესისთვის გამიზნული სასესხო პროგრამა მაღალი მოთხოვნის გამო წარმატებით განხორციელდა - ფაქტიური განხორციელება თავდაპირველ გეგმაზე მაღალია. შეღავათიანი აგრო კრედიტების პროგრამის ფარგლებში დამატებით 4092 სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება განხორციელდა. (მაშინ როცა 2015 წლის სამიზნე - 2500 სესხი იყო).

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.2 გაუმჯობესებული წვდომა ფინანსებზე	ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალი საწარმოებისა და ფერმების რაოდენობა	რაოდენობა	50 (2017)	5 (11 in H1)	3	8
	ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების რაოდენობა	რაოდენობა	2500 (2017)	2173 (2134 თბილისის გარეშე)	1999 (1958 თბილისის გარეშე)	4172 (4092 თბილისის გარეშე)

ლონისძიება 3.3. სხვა პროგრამები

ეს ღონისძიება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სხვადასხვა აქტივობებს მოიცავს (დეტალურად იხილეთ დანართი 1), შესაბამისად, მიღწეული მყისიერი შედეგებიც განსხვავებულია. აქტივობების უმრავლესობის შემთხვევაში სამიზნე არ იყო განსაზღვრული, ამიტომ ღონისძიების შესრულების შეფასება რთულია. თუმცა, ღონისძიების განხორციელებამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის და ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, ასევე მეღვინეობის სექტორში, დიდი მნიშვნელობა შეიძინა. განმახორციელებელი უწყებებისგან მიღებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა მევენახეობის მხარდამჭერი პროგრამა, რომელმაც წლის მანძილზე დამატებითი ფინანსები მიიღო და გეგმასთან მიმართებით, მხარდაჭერილი ღვინის მწარმოებელი ფერმერების რაოდენობაც 2,5-ჯერ გაზარდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამას „მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოების მხარდაჭერა ვაუჩერების დარიგების გზით“ დიდი მასშტაბი ჰქონდა. მთლიანად პროექტის ფარგლებში 619,000 ბენეფიციარის მხარდაჭერა განხორციელდა რეგიონებში. ამ აქტივობების შედეგად დამატებით 225,000 ჰა მიწა მოიხნა და დაითესა. შესაბამისად, მიღებულმა მოსავალმა პირველადი წარმოების რაოდენობასა და საშუალო მოსავლიანობაზე იქონია გავლენა.

ლონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები	იმ საკვები და აგრობიზნესის საწარმოების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც ხდება სურსათის უვნებლობის ღონისძიებების თვალსაზრისით	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	3 239	4 985	8 224
	დასრულებული ან პროცესში მყოფი კვლევითი პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	43	5	48
	ქართული ღვინის ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	34 (2015)	24	15	39
	შექმნილი სასოფლო კოოპერატივების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება			856
	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლისთვის ჩატარებული ტესტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	1 144	3 076	4 220

	სადემონსტრაციო ნაკვეთებისთვის მომზადებული მიწის ფართობები	ჰა	30 (2015?)	30	93	123
--	--------------------------------------------------------------------	----	------------	----	----	-----

ღონისძიება 3.4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება

საანგარიშო წელს დაგეგმილი პროგრამის დაწყება 2016 წლამდე გადაიდო, რის გამოც განხორციელების შესახებ პროგრესი არ ფიქსირდება.

ღონისძიება 4.1 ტურიზმის ხელშეწყობა

ეს ღონისძიება ხელს უწყობს საქართველოს ბრენდის განვითარებას, ტურიზმის მრეწველობის პოზიციის განსაზღვრას საერთაშორისო ბაზარზე და მსგავს ტურისტულ ბაზრებს შორის საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ღონისძიების შესრულების შეფასება რთულია, რადგან 2015 წლისთვის სამიზნე ღირებულება დადგენილი არ იყო. წლის განმავლობაში ღონისძიების ფინანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა (50%-ით), რამაც დამატებითი ხელისშემწეობი, მარკეტინგული და ტურიზმის ინდუსტრიის აქტივობებისთვის ტრენინგების ორგანიზების საშუალება გააჩინა. ამ პრიორიტეტის ფარგლებში არსებული ღონისძიების განხორციელება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ განხორციელებას პირდაპირი გავლენა აქვს საქართველოში უცხოელი ტურისტების ვიზიტების რაოდენობაზე. 2015 წელს ტურიზმის სტრატეგიაში სამიზნედ განსაზღვრული: უცხოელი ტურისტების ვიზიტების 7%-იანი ზრდა სრულად იქნა მიღწეული, რამაც შესაბამისად ხელი შეუწყო ქვეყანაში და ცალკეულ რეგიონებში შემოსავლების ზრდას.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
4.1 ტურიზმის ხელშეწყობა	დასრულებული რეგიონული კვლევების რაოდენობა;	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	5	5
	შექმნილი საინფორმაციო ცენტრების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	ჩატარებული გადამზადების კურსების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	9	8	17
	გადამზადების კურსების მონაწილეთა რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	770	430	1200
	მარკეტინგული აქტივობების რაოდენობა		არ არის სამიზნე ღირებულება	65	80	145
	განვითარებული „ტურიზმის პროდუქტის“	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	4	21	25

	რაოდენობა				
--	-----------	--	--	--	--

ღონისძიება 5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

ამ ღონისძიების ფარგლებში, როგორც ეს დაგეგმილი იყო, მომზადდა შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა, რომელიც მთელი ქვეყანაში და ამავდროულად, ცალკეულ რეგიონებში არსებულ სიტუაციაზე ფოკუსირდებოდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა მიმდინარე ტენდენციები და რეგიონების მიხედვით მოთხოვნადი პროფესიების გადანაწილება. აღნიშნულმა კვლევამ შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიოს ბიზნესის საჭიროებების მოქალაქეთა უნარების მისადაგების კუთხით, რაც რეგიონებში შრომითი ძალის უკეთ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ღონისძიება 5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა.

წინამდებარე ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანია და ყველა რეგიონში ხორციელდება: პროფესიული განათლებისა და გადამზადების სასწავლებლების არსებული ქსელის გაფართოება (26 კოლეჯის დაარსება, როგორც ეს სტრატეგიაშია გაწერილი) და არსებული კოლეჯების აღჭურვა პირდაპირ გავლენას იქონიებს რეგიონებში პროფესიული უნარების განვითარებაზე, რაც სამიზნე რეგიონებში კერძო კაპიტალის მოზიდვას შეუწყობს ხელს. ახალი კოლეჯების მშენებლობისა და არსებული კოლეჯების აღჭურვის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა.	აგებული /განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტულ დონეზე	რაოდენობა	მინიმუმ 1 კოლეჯი 3 წლის განმავლობაში	2 (მომზადების პროცესშია)	დაიწყო: მიმდინარეობს 4 პროფესიული სასწავლებლის გაფართოება: 1 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა	0 ახალი დაარსებული კოლეჯი, 9 მომზადების პროცესშია
	კონკრეტულ რეგიონებში განახლებული და აღჭურვილი არსებული სასწავლებლების რაოდენობა	რაოდენობა	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული განათლების კოლეჯების აღჭურვა (20)	5	12	17

ღონისძიება 5.3 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად

5.3 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები	გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ექსტენციის სისტემის მომსახურე პერსონალის რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე განსაზღვრული	20		20
	სასწავლო გარემოს გაუმჯობესების (ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალა და აღჭურვილობა) მიზნით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე განსაზღვრული	19		19
	იმ პროფესიული სასწავლებლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, რომელთაც სოფლის მეურნეობაში ეფექტური და ინოვაციური სასწავლო პროგრამები და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის უნარი გააჩნიათ.	რაოდენობა	არ არის სამიზნე განსაზღვრული	0		0
	გადამზადებული სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა (ვეტერინარები, ზოო-ტექნიკოსები, საკვების გადამამუშავებლები, სასოფლო-სამეურნეო, სამანქანო ოპერატორები, წარმოების საშუალებების მიმწოდებლები და ცხოველთა საკვების გადამამუშავებლები)	რაოდენობა	არ არის სამიზნე განსაზღვრული	25 სასწავლო ტური		25 სასწავლო ტური

	ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც პროექტის საჯარო და კერძო მონაწილეების მხრიდან სრული და თანაბარი ჩართულობა იქნება და რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადამზადებისა და ექსტენციის სერვისების დანერგვას უზრუნველყოფს.	<i>რაოდენობა</i>	არ არის სამიზნე განსაზღვრული	2 თემატური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა	2 თემატური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა
--	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------	------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------

ღონისძიება 5.4 პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება

ამ ღონისძიების ფარგლებში ის აქტივობები ხორციელდება, რომლის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგების ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რაც პროფესიული განათლების ინსტიტუტებში ახალი თანამშრომლების მოზიდვას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. 2015 წელს დაიწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. როგორც წლის ბოლოს ანგარიშში იყო აღნიშნული ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება: პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა, მასწავლებელთა თემატური ჯგუფების შექმნა, სხვადასხვა ტრენინგები და დამატებითი საკანონმდებლო სამუშაოები (7 კანონქვემდებარე აქტი პროფესიული განვითარების მასწავლებელთა შესახებ). მთლიანობაში, ყველა მასწავლებელი გადამზადდა.

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.4 პროფესიული მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება	პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვის პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება	<i>რაოდენობა</i>	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სისტემის ჩამოყალიბება			დასრულებულია: 2015 წლის გეგმა პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სტრატეგია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 7 კანონქვემდებარე აქტი

	<p>საჭიროებების ანალიზზე დაყრდნობით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და გადამზადებულ ი მასწავლებლების რაოდენობა</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>პროფესიული განთლების მასწავლებელთა 100%</p>	<p>519</p>	<p>1. 348 მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგში: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 2. პირველი ეტაპი „ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის შესავალი კურსი“ - ჩაერთო 341 პედაგოგი მეორე ეტაპი - ჩაერთო 298 მასწავლებელი 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლების სას და პროფესიული ტესტირება_ნაწილი I“ - ჩაერთო 277 პედაგოგი;</p>	<p>დასრულებულია: 2015 წლის გეგმა პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია,</p>
	<p>რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოებში) გადამზადებულ</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>საჯარო პროფესიული მასწავლებლების 100%</p>	<p>0</p>	<p>29 ჩატარდა და 110 მასწავლებელი მონაწილე</p>	<p>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა</p>

	ო მასწავლებლების რაოდენობა			ბდა (დაახლოებ ით 15%)	განხორციელდა
				მონაცემთა ბაზა და კონცეფცი ა	

ლონისძიება 5.5. რეგიონებში საჯარო მოხელეთა ტრენინგები

მიღწეული მყისიერი შედეგები გვიჩვენებს, რომ ამ ღონისძიების განხორციელება ეფექტურად მიმდინარეობს და 2015 წლის სამიზნეები მიღწეულია. პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რეგიონებში საჯარო მომსახურების ხარისხის ზრდას უზრუნველყოფს, რითაც პირდაპირ უწყობს ხელს ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების საკითხებზე მუშაობისთვის საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას.

ლონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მთლიანად
5.5 რეგიონებში საჯარო მოხელეთა ტრენინგები	მუნიციპალიტეტების რაოდენობა ეფექტური ადამიანური რესურსების მართვის შემუშავებული პოლიტიკით	რაოდენობა	10 (2017)		56 (ტრენინგები ჩატარდა 56 მუნიციპალიტეტში)	56
	ახალი ტრენინგ პროგრამების რაოდენობა (კურიკულუმები)	რაოდენობა	12 (2017)	11	22	33
	მუნიციპალიტეტებისა და სწავლების მიმწოდებელთა მიერ განხორციელებული ერთობლივი მოქმედებების რაოდენობა	რაოდენობა	12 (2017)	0	0	0
	ორგანიზებული ტრენინგების დღეების/ადამიანების რაოდენობა	დღეები	4500 (2017)	1541 ტრენინგ დღე	5881 ტრენინგ დღე	7422 ტრენინგ დღეები
				(38 ტრენინგ კურსი)		
ტრენინგ გავლილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა რაოდენობა (სქესის ნიშნით)	რაოდენობა	2,000 (600 ქალი/ 1,400 კაცი)	768 (338 ქალი/430 კაცი)	1571 (768 ქალი/803 კაცი)	2339 (1106 ქალი/ 1233 კაცი)	

	განცალკევებული)					
--	-----------------	--	--	--	--	--

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (რგპფ)

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ფონდის მიერ დადგენილი სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული. (იხილეთ ქვემოთ ცხრილი). უმეტეს შემთხვევებში ფაქტიური განხორციელება გეგმას აჭარბებს. ფონდი უშუალოდ უწყობს ხელს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას - უპირველესყოვლისა ეს ეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს და წყლის სისტემებს, თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივი სპორტის, კულტურული და საგანმანათლებლო (საბავშვო ბაღები) ობიექტების გაფართოების საქმეში. მიუხედავად მისი სახელისა, ფონდის ფარგლებში ხორციელდება ეროვნულ დონეზე შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი პროექტები, ადგილობრივი და რეგიონული სტრატეგიების შესაბამისად, მაგრამ მისი გავლენა კონკურენტუნარიანობის გაზრდის და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პირობების განვითარების კუთხით შეზღუდულია. ფონდი ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობების ინფრასტრუქტურული საჭიროებების გადასაჭრელად გამოიყენება და არა როგორც მძლავრი, დამატებითი დაფინანსების წყარო რეალური განვითარების პროექტების დაფინანსებისთვის.


ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2015		
				I ნახევარი	II ნახევარი	მოლიანად
რეგიონული განვითარების ფონდი	გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია	კმ		56,4	379,6	436,0
	წყალმომარაგების სისტემის სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	კმ	468 (2015)	14,0	538,2	552,3
	წყალმომარაგების სისტემის სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	49 (2015)	-	52	52
	საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	114 (2015)		128	128
	სპორტული ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	23 (2015)		22	22
	კულტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	24 (2015)		24	24
	ქუჩის განათება	მეტრი	50 770,0	-	50 770,0	50 770,0
	ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	14		15	15
	ნაპირსამაგარი სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	2, 373	-	2,4	2,4
სანიაღვრე/სადრენაჟე სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია მიმდინარე	მეტრი	3,909	-	40,0	40,0	
მრავალბინიანი	პროექტების	220				

	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია	რაოდენობა			264	264
	სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	95		127	127

ნაწილი 2. რგპ-ში განსაზღვრული რეგიონული კოპეზიის მიზნების მიღწევის პროგრესი. რეგიონებისთვის ფინანსების განაწილება (მეისიერი შედეგების რეგიონული გადანაწილება იხილეთ დანართში 1)

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში განსაზღვრულია მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელებიც საქართველოს არათანაბარ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას უწყობენ ხელს. ანალიზის შედეგად, დისბალანსი თბილისსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამოიკვეთა. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელებიც სახელმწიფოს მხრიდან რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში ჩარევას საჭიროებს, არის ის დისბალანსი, რომელიც მთავარ ურბანულ დასახლებებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს შორის არსებობს. ასევე, დიდი გამოწვევის წინაშე არიან ქვეყნის ჩრდილოეთით, მეჩხრად დასახლებული მაღალმთიანი რეგიონები და ზოგიერთი ძველი მონო-ინდუსტრიული ქალაქები. თუმცა ამ მიმართულებით მიღებული იქნა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მნიშვნელოვანი მუხლები ძალაში შედის 2016 წელს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონით გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მიმართულია აღნიშნული დისბალანსის გადაჭრის საკითხებზე.

რუკა: 1 საქართველოს რეგიონები



1	Autonomous Republic of Abkhazia	7	Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti
2	Samegrelo-Zemo Svaneti	8	Shida Kartli
3	Guria	9	Kvemo Kartli
4	Autonomous Republic of Adjara	10	Mtskheta-Mtianeti
5	Samtskhe-Javakheti	11	Kakheti
6	Imereti	12	Tbilisi


რეგიონული განვითარების პროგრამის მთავრი მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს დაბალანსებულ და თანაბარზომიერ სოციო-ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც ორ სტრატეგიულ მიზანს მოიცავს:

ა) ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონე დაბალი მაჩვენებელია;

ბ) ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ღარიბ და ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე.


2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ამ ეტაპზე შეუძლებელია გავლენის დადგენა რეგიონული გამოთანაბრების კუთხით. ამას უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი ანალიზი სჭირდება, ხოლო პროგრამის დასრულების შემდგომ კი (2017 წლის ბოლოს) შეფასების მომზადება. თუმცა, 2015 წლის მეორე ნახევარში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რგპ-ს ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ რეგიონების დონეზე ფიზიკური და ფინანსური მონაცემები შეგროვდა. რეგიონული ჩაშლა მთლიანი დახარჯული თანხის თითქმის (726,9 მლნ ლარი) 69%-ზე გაკეთდა. სამწუხაროდ, პრიორიტეტი 3 და პრიორიტეტი 5-ის ფარგლებში - ადამიანური რესურსების განვითარება, უმეტესი ღონისძიებების შემთხვევაში შეუძლებელი იყო რეგიონული ჩაშლის გაკეთება, ამიტომ რეგიონებში ფინანსების განაწილების მოცემულ სურათზე ძირითადი გავლენა აქვს პრიორიტეტს 1 (ინფრასტრუქტურა) და რეგიონული განვითარების ფონდს. უნდა აღინიშნოს, რომ რგპ-ს ფინანსები პრინციპულად არ უნდა იქნეს გამოყენებული თბილისსა და აჭარაში, რადგან მათ განვითარების აქტივობებისთვის საკუთარი ფინანსური რესურსები გააჩნიათ. თუმცა, ზოგიერთი ხარჯი 1.1 ღონისძიების (გზები) მოიცავდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებულ აქტივობებსაც, რადგან რთული იყო ფინანსების ცალკეულად გამოთვლა. სულ, პროგრამის ფარგლებში, აჭარაში 50 მლნ ლარი, ხოლო თბილისში 2 მლნ ლარი გაიხარჯა.

გრაფიკი 6. დანახარჯები რეგიონების, პრიორიტეტებისა და რეგიონული განვითარების ფონდის მიხედვით (თბილისის და აჭარის გამოკლებით) 2015 წელი, მილიონი ლარი:




რგპ-ს ფარგლებში რეგიონებისთვის გამოყოფილი **ფინანსების უდიდესი წილი** (გრაფიკი 7) იმერეთის რეგიონში დაიხარჯა (34%). ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ თბილისის შემდგომ ის ყველაზე მეტად დასახლებული ადგილია საქართველოში და მის ფარგლებში კონცენტრირებული იყო მაღალბიუჯეტის აქტივობები და თბილისი- ქუთაისი- ბათუმის დამაკავშირებელი საერთაშორისო ავტომაგისტრალები. შემდეგი ორი რეგიონი სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებმა მთლიანი განსაზღვრული თანხის 14,6% და 12,7% მიიღეს. ქვემო ქართლი (თბილისისა და იმერეთის შემდეგ) ყველაზე მეტად დასახლებული ადგილია საქართველოში, რომელიც თბილისის ახლოს მდებარეობს, ხოლო სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონი, რომელიც აფხაზეთს და რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება, მაღალმთიანი და ნაკლებად განვითარებული ტერიტორიებისგანაც შედგება.

გრაფიკი 7. რეგიონების მიხედვით ფინანსური დანახარჯები, 2015 წელი



უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის წილი ქვემო ქართლის რეგიონთან შედარებით უფრო მაღალია, რაც ფონდის გათანაბრებითი ფუნქციის მაჩვენებელია (გამოსახულება 8). მთლიანად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონმა 2015 წლის რეგიონული განვითარების პროგრამის 14,6 % მიიღო.


გრაფიკი 8. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დანახარჯების წილი, 2015



რგპ-ს ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური სახსრებიდან 2015 წელს ყველაზე დაბალი წილი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონმა მიიღო - მხოლოდ 2,45%. რეგიონული განვითარების ფონდიდან აღნიშნულმა რეგიონმა პროცენტული თვალსაზრისით ერთ სულ მოსახლეზე შედარებით მაღალი, მაგრამ თანხობრივად

ყველაზე მცირე წილი - 4.5% მიიღო, რაც მოსახლეობის რაოდენობის სიმცირით აიხსნება (31,9 ათასი მოსახლე). თუმცა, როგორც შემდეგ გრაფიკშია (9) ნაჩვენები, ამ რეგიონში ფინანსური განაწილება ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია - 554 ლარი- 2,5-ჯერ მეტი ვიდრე საშუალო ეროვნული მაჩვენებელი. გახარჯული თანხის თვალსაზრისით, მოსახლეობის რაოდენობის შედარებით, მცხეთა-მთიანეთი მეორე და იმერეთი მესამე ადგილზეა.

გრაფიკი 9. 2015 წლის დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით, თანხები მოცემულია ლარში



რგკ-ს ფინანსების გადანაწილება რეგიონებში გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში ხორციელდება: იმერეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში და ასევე, თბილისთან ახლოს, ქვემო ქართლის რეგიონში. ეს მოცემულობა ძირითადად განპირობებულია მათი ეკონომიკური როლით, მოსახლეობის ზომის და მათი გეოგრაფიული მდებარეობით. თუმცა, რეგიონული განვითარების ფონდისგან, რომელიც კოჰეზიისკენ არის მიმართული და გამოთანაბრებითი განაწილების მექანიზმს იყენებს, ნაკლებად დასახლებული და ზოგადად ღარიბი რეგიონები, როგორცაა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ან მცხეთა-მთიანეთი მეტ სარგებელს იღებენ. ფულადი სახსრების გადანაწილების რუკა ერთ სულ მოსახლეზე განსხვავებულია გრაფიკი 9). ამ ფონდის დახმარებით „ღარიბ“ რეგიონებს საშუალება ეძლევათ მათი ინფრასტრუქტურული საჭიროებები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარების პროცესებში.

ნაწილი 3. ფინანსურ და ფიზიკურ პროგრესზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი

(მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი #1 - ინდივიდუალური ღონისძიებების აღწერა)

ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც 2015-2017 წლების რგპ-ს განხორციელებაზე მოახდინა გავლენა რამდენიმე ნაწილის ქვეშ შეიძლება შეჯამდეს: მაკროეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატასტროფები და სხვა ფაქტორები.

მაკრო-ეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია

გლობალურმა ეკონომიკურმა სიტუაციამ და რთულმა ეკონომიკურმა და გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ რეგიონში საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა იქონია. 2015 წელს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შემცირდა, მთლიანად 2014 წლისთვის ზრდა მშპ-თან მიმართებით 4.8%-დან 2%-მდე შემცირდა. ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოება 5.2%-ით, ხოლო ვაჭრობა 2.5%-თმემცირდა, სამაგიეროდ, სამთო მრეწველობის ზრდა 22.9%-ით, ხოლო მშენებლობა 17,2%-ით გაიზარდა. საბანკო კრედიტებმა მნიშვნელოვნად იკლო მცირედი ეკონომიკური ზრდის ფონზე. 2015 წელს წინასწარი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ია.

გარდა ამისა, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ იმპორტირებულ გრძელვადიან საქონელზე ფასების ზრდა გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო სამომხმარებლო ფასების ზრდას. მეორეს მხრივ, ინფლაციის ზრდა შესუსტდა, რაც მათ შორის გამოწვეული იყო საერთაშორისო ბაზრებზე საკვებისა და ნავთობის ფასების დაცემით. 2015 წლის აგვისტოში წლიურმა საშუალო ინფლაციამ 3.2% შეადგინა (რომელიც ნავარაუდები იყო, რომ 2015 წლის ბოლოსთვის 6% იქნებოდა (საქართველოს ეროვნული ბანკი), რაც აიხსნება იმით, რომ თამბაქოს და ალკოჰოლურ სასმელებზე (13.1%), ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე და სარემონტო სამუშაოებზე (9.3%) დიდი ზრდა ანაზღაურებს უფრო მცირე ვარდნებს - ტრანსპორტი (1.6 %); ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (0.9%).

უწყვეტმა ზომიერმა ინფლაციამ, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ქართული ლარი თითქმის 33%-ით გაუფასურდა, გავლენა იქონია შიდა მოთხოვნის შემცირებაზე (რადგან შიდა კრედიტების უმრავლესობა აშშ დოლარშია დენომინირებული), შემცირდა მოგების გადასახადის ზღვრული ოდენობა ფირმებისთვის, ასევე შემცირდა ფასები იმპორტირებულ საკვებსა და ენერჯიაზე. ამ პერიოდში ინფლაციის შესახებ მოლოდინები გაიზარდა, რომელიც გამოთვალა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და თავისი პოლიტიკის მაჩვენებელი ეტაპობრივად გაზარდა 200 საბაზისო პუნქტამდე, იმისათვის რომ აგვისტოში 6%-ისთვის მიეღწია. 2015 წლის პირველი 6 თვის ექსპორტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ექსპორტი დამატებით თითქმის 24%-ით არის შემცირებული, დაახლოებით ორი მესამედით არის შემცირებული ავტომობილების ექსპორტი, ხოლო დაბალმა ნავთობის ფასებმა ხელი შეუწყო იმპორტის შემცირებას 9%-ით. ფულადი გზავნილების მკვეთრმა შემცირებამ - რუსეთის ფედერაციიდან 41%-ით, საბერძნეთიდან 19%-ით და იტალიიდან 12%-ით - 2015 წლის პირველ ნახევარში მთლიანი ფულადი გზავნილების რაოდენობის თითქმის 23%-ით შემცირება გამოიწვია.

ფინანსური სიტუაცია წლის პირველ ნახევარში სტაბილურია, თუმცა მასში გათვალისწინებული შემოსავლების სტრუქტურული ცვლილებების გამო ბიუჯეტის ჩასწორება გახდა საჭირო, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია რგპ-ს ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებაზე.

საბიუჯეტო შემოსულობების მთლიანი ოდენობა ბიუჯეტის კანონთან შედარებით (2014 წლის დეკემბერი) 139.1 მილიონი ლარით შემცირდა (2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით).

რაც შეეხება ძირითად ფისკალურ ინდიკატორებს, 2015 წლის შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის და დამატებითი ფისკალური გეგმის მიხედვით, ფისკალური ბალანსი -3%-ია, მაშინ როცა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით იგივე მაჩვენებელი -3.1% იქნებოდა. ასე რომ, ამ ასპექტში მნიშვნელოვანი სხვაობები არ არის.

სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა და სხვა ხელმისაწვდომი ფინანსური წყაროების ნაკლებობა (ევროკავშირისგან და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან) უარყოფითად მოქმედებს ბევრი მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელების შესაძლებლობაზე მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. ამის შესახებ აღნიშნული იყო ტურიზმის სექტორში სარეკლამო აქტივობებთან დაკავშირებით (ეს ღონისძიება, ზოგადად, საკმაოდ ეფექტური და წარმატებული აღმოჩნდა), ღონისძიება 1.4 ქვემ (ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების მართვა) და რეგიონული განვითარების ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში. რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში არსებული არასაკმარისი დაფინანსება იმ პროექტებისა და მიზნების განხორციელების შესაძლებლობას ზღუდავს (განსაკუთრებით ბიზნესის მხარდაჭერის, მცირე და საშუალო მეწარმეობის და ადამიანური რესურსების განვითარების პროექტები), რომელიც 2015-2021 წლის რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმებშია ასახული.

ადმინისტრაციული შესაძლებლობები

ადმინისტრაციული შესაძლებლობების ეფექტურობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც პროცედურული, აგრეთვე ინსტიტუციური სისტემის (მათ შორის, ადამიანური რესურსების) უნარი ფინანსური და ფიზიკური სამიზნეების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიების განხორციელებისას.

2015 წელს რგპ-ს მთლიანი შესრულების გათვალისწინებით, რომელიც დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს, როგორც ფიზიკური ასევე ფინანსური თვალსაზრისით, გვიჩვენებს რომ საქართველოს ადმინისტრაციის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, განსაზღვრული გეგმის მიხედვით, ზოგადად, **დადებითად უნდა შეფასდეს.**

პროგრამის განმახორციელებელ სამინისტროებსა და სხვა უწყებებში, ადამიანური რესურსის კუთხით, კომპეტენციის ნაკლებობა არ შეიმჩნევა, თუმცა ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი პროცესის და მეთოდოლოგიის სწავლის პროცესი, რომელიც შედეგზე დამყარებულ მართვას ეფუძნება, ეს კი რგპ-ს განხორციელების მონიტორინგს ანელებს.

როგორც ჩანს, რგპ-ს ანგარიშებისთვის სამთავრობო მართვისა და ფინანსური მონაცემების გამოყენების კუთხით შეზღუდვები არ არსებობს, რადგან პროგრამები/პროექტები მკაფიოდაა განსაზღვრული სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ბიუჯეტის აღრიცხვის სისტემაში. ის სირთულეები, რომლებსაც დარგობრივი სამინისტროები რგპ-ს ანგარიშების დროს წააწყდნენ არ არის ფუნდამენტური და დაკავშირებულია შედეგზე დამყარებული პროექტის მართვის, დაშვებადობის კრიტერიუმების და რგპ-ს მიზნებისთვის მთავრობის ანგარიშების სისტემის გამოყენების შესახებ არასაკმარის ცოდნასთან.

სამინისტროებში არსებული მონიტორინგის კადრები, რომლებიც რგპ-ს მიმართულებით მუშაობენ ზოგადად, 2-3 კაცისგან შემდგარ ჯგუფებს წარმოადგენენ და ახორციელებენ რგპ-ს თითოეული ღონისძიების მართვას, მონიტორინგს, ანგარიშგებას და ფინანსურ კონტროლს თავიანთ კოლეგებთან ერთად დარგობრივ დეპარტამენტებში.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ კონტექსტში უნდა გადაიჭრას, არის რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობის გაძლიერება, სათანადო შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, რათა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების პროცესის ეფექტიანი კოორდინაცია (მ.შ. ანგარიშგების პროცესი) და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ყველა ჩართული მხარის (სამინისტროები, უწყებები, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციები და სხვა განვითარების პარტნიორები) შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ რგპ-ს განხორციელების პროცესში გამოჩნდა, რომ არსებობს პოტენციური სფეროები, რომელიც განვითარებას საჭიროებენ - ადამიანური რესურსების შესაძლებლობები და ოპერაციული სისტემების განვითარება. აღნიშნული საკითხები მთავრობის მიერ, ევროკავშირთან და სხვა განვითარების პარტნიორებთან ერთად უნდა გადაიჭრას. აღნიშნული მოიცავს:

- ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების სისტემების შესახებ ზოგად ინფორმაციას, რომელიც ფოკუსირებული იქნება რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რგპ-ზე მომუშავე თანამშრომლებსა და ზედა რგოლის მმართველებზე სამინისტროში;
- კონკრეტული პერსონალისთვის და შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ტრენინგები რგპ-ს ზოგად პრინციპებსა და პრაქტიკის შესახებ (სპეციალისტები ფინანსურ საკითხებში), რაც ზუსტი ანგარიშგების გაძლიერებას უზრუნველყოფს;
- რგპ-ს ჰორიზონტალურ საკითხებზე ტრენინგების ციკლს, რომელიც პროგრამების და ინდივიდუალური პროექტების განხორციელებას უკავშირდება, როგორცაა პროექტზე დაფუძნებული მიდგომა მართვის, მონიტორინგის და ფინანსების სფეროში და უფრო კონკრეტულად, პროექტის მართვის ციკლი, საჯარო შესყიდვები, მონიტორინგის სისტემა - კერძოდ, ინდიკატორები;
- საჯარო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი კომპეტენციები, რომელიც რგპ-ს განვითარების პროგრამის პირდაპირი მოქმედების არეალს ცდება და რომელიც სამომავლოდ, შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების მიერ განსაზღვრული რგპ-ს პრაქტიკოსებისთვის, სასარგებლო იქნება;
- ახლო და საშუალოვადიან პერიოდში რგპ-ს საოპერაციო სახელმძღვანელო მითითებები იქნება საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იყოს ღონისძიებების მართვის, მონიტორინგის და ფინანსური კონტროლის სტანდარტული და სწორი მეთოდები. აღნიშნული პრაქტიკულად მომზადებულია და შესაძლებელია მისი შემდგომი სრულყოფა.
- სპეციალისტების ტრენინგი (განსაკუთრებით შესაბამის ორგანიზაციებთან ერთობლივი მუშაობის ფორმით - სტაჟირება) სპეციფიურ საკითხებზე, რომელიც ეკონომიკის სტიმულირებას (ტურიზმი, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, ინოვაციები, სოფლის მეურნეობის განვითარება) ინფრასტრუქტურის სტანდარტებს უკავშირდება.
- პროექტის/ღონისძიების მართვის საინფორმაციო სისტემები შესაძლოა განვითარდეს საშუალოვადიან პერიოდში და გადავიდეს სრულ ელექტრონულ

სისტემაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ელექტრონული აღრიცხვის სისტემას დაემატება.

კლიმატური და ამინდის პირობები. ბუნებრივი კატასტროფები

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ცალკეული პროექტების ღონისძიებების განხორციელებაზე ახდენს გავლენას კლიმატი, ამინდი და ბუნებრივი კატასტროფებია. ამის შესახებ გზების მშენებლობასთან, მყარი ნარჩენების მართვის პროექტებთან (ღონისძიება 1.2) და ასევე ღონისძიება 1.3 „წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემები“ დაკავშირებით აღნიშნულია ანგარიშში.

კლიმატურმა პირობებმა, ასევე, უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის დარგის ზოგიერთი აქტივობის განხორციელებაზე. ამინდის ზეგავლენის შედეგად მოსავლიანობა 2015 წელს დაახლოებით 2%-ით შემცირდა.

რეგიონული განვითარების ფონდის შემთხვევაში, დიდწილად კლიმატურმა პირობებმა და გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ზოგიერთი მუნიციპალური პროექტების განხორციელებაზე. მაგალითად: მაღალმთიან რეგიონებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება წლის მხოლოდ რამდენიმე თვის მანძილზე შესაძლებელია.

საანგარიშო წლის მანძილზე მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს თბილისში მომხდარი წყალდიდობა. 2015 წლის 13 ივნისს, ინტენსიური წვიმის შედეგად, თბილისის სამხრეთ დასავლეთით, დაახლოებით 20 კმ-ში, მეწყერი ჩამოწვა, რომელმაც 1 მილიონი მ³ მიწა, ტალახი და ხეები თბილისამდე ჩამოიტანა. კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე ვერე, რომელიც მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. წყალდიდობის შედეგად დაზიანდა მიმდებარე ქუჩები, სახლები და თბილისის ზოოპარკი, რამაც 20 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 40 ოჯახზე მეტი უსახლკაროდ დარჩა და 20,000 მოსახლეს ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდა. მთავრობამ წყალდიდობის შედეგად მიყენებული სავარაუდო ზარალი დაითვალა, რომელიც 40 - დან 100 მილიონამდე აღწევდა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 13-14 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩატარდა გეოლოგიური საფრთხეების შესახებ ანალიზი, მომზადდა წინასწარი შეფასება და ვიზუალური საინჟინრო-გეოდინამიკური დასკვნები: მაღალი და საშუალო რისკის კატეგორიებს მიკუთვნებული 51 მაცხოვრებლის სახლებისა და მიწის ნაკვეთების და ასევე, ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და გეოდინამიკურად მეტად სარისკო ადგილების შეფასება. საანგარიშო წლის მანძილზე წყალდიდობების პროგნოზირების გაუმჯობესების მიზნით, მდინარე ვერეს ხეობაში ბუნებრივი ნალექის საზომი 2 და წყლის დონის საზომი 1 მოწყობილობა დამონტაჟდა.

სხვა ფაქტორები

სხვა ფაქტორები, რომლებიც დაგეგმილი აქტივობების დროულ განხორციელებაზე ახდენს გავლენას, შემდეგია:

- გზის ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში განხორციელების პროცესს **სატენდერო პროცედურები და სხვა სამუშაოების გადადება** აყოვნებს. თავის მხრივ ეს აფერხებს როგორც ფიზიკური, ასევე ფინანსური ინდიკატორების მიღწევის შესაძლებლობას და განხორციელების ტემპიც დაბალია, განსაკუთრებით კი წლის პირველ ნახევარში;
- 2015 წელს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში მიკრო და მცირე სესხების მოთხოვნაზე და სხვა აქტივობების დაფინანსების შესაძლებლობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, მაგრამ მეორეს

მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების სესხსა და გრანტზე ხელმისაწვდომობა, რომელიც დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში, გაიზარდა (5.3, 5.5 და რამდენიმე აქტივობა სხვადასხვა ღონისძიებების ქვეშ).

- ძველი სამხედრო პოლიგონის განაღმვა (ქუთაისის ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შემთხვევაში) ;
- მიწის მფლობელებთან შეთანხმების ხანგრძლივი პროცესი, იმ ტერიტორიებზე სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება იგეგმება;
- გამართული სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის სისტემის არარსებობა წყლის გამოყენებისა და წყლის მომხმარებელთა კონტროლს შეუძლებელს ხდის. ეს კი, სათანადო საგადასახადო სისტემის განვითარების და წყლის მათვის შესაძლებლობებს ზღუდავს.

ნაწილი 4. რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები

რგპ-ს 2015 წლის პირველი 6-თვიანი მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

როგორც აღინიშნა, რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების 2015 წლის შუალედურ ანგარიშში და რომელიც მოწონებულ იქნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2015 წლის ოქტომბერში, ატარებდა წინასწარი შეფასების ხასიათს და ეხებოდა, ძირითადად განხორციელების ტექნიკურ საკითხებს. მათი უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის სისტემის გასაუმჯობესებლად და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რაც საჭიროა მაღალი ხარისხის რაოდენობრივი და ხარისხობრივი, სოციალ-ეკონომიკური და ტერიტორიული ანალიზის მოსამზადებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, რამდენიმე საკითხი კვლავ აქტუალურია და მეტ სისტემურ მიდგომებს საჭიროებს, რის გამოც წლიური ანგარიშის რეკომენდაციებშიც მოხდა მათი ასახვა.

ცხრილი: რგპ-ს 6 თვიანი მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულება

#	რეკომენდაცია	შესრულების შეფასება	შენიშვნები
1.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სხვა განმახორციელებელი უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება (საჯარო პოლიტიკების) პროგრამირების, განხორციელების და მონიტორინგის კუთხით.	შესრულების პროგრესი კარგია - გაძლიერდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, განხორციელდა ტექნიკური დახმარების მიწოდება, ჩატარდა ტრენინგები, სემინარები „ისწავლე კეთებით“ ფორმატში, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს აღნიშნულ ღონისძიებათა გაგრძელების საჭიროება	მიმდინარე პროცესი იგივე უნდა გაგრძელდეს 2016 წელსაც
2.	რგპ-ს მონიტორინგის პროცესის საიმედოობისა და სიზუსტის შემდგომი გაძლიერება	არსებითი პროგრესი ექვსი თვის მონიტორინგის ანგარიშთან შედარებით	
	ა) ფინანსური ცხრილის განახლება რგპ-ის მონიტორინგის გეგმის მე-6 დანართის თანახმად, სამინისტროების მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების წარდგენა	სრულად შესრულდა - ცხრილები განახლდა სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით	იგივე რეკომენდაცია 2016 წლისთვის
	ბ) მუშაობის გაგრძელება მყისიერი შედეგების ინდიკატორების დასახვეწად და შესაგროვებლად, და სამიზნეების განსაზღვრა ყველა ღონისძიების	ზომიერი პროგრესი ნაწილობრივ განხორციელდა-რიგი ახალი სამიზნეების განისაზღვრა და დაემატა	იგივე რეკომენდაცია 2016 წლისთვის

	ინდიკატორებისთვის		
	გ) ღონისძიებების განხორციელების ანგარიშში მეტი ტერიტორიული/რეგიონული ჭრილის შემოტანა	სრულად განხორციელდა-პრიორიტეტებისა და ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში	იგივე რეკომენდაცია დარჩენილი ღონისძიებებისთვის
3.	კოორდინაციის გაუმჯობესების ძალისხმევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ თუ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის	ნაწილობრივ განხორციელდა-დონორების მიერ დაფინანსებული ღონისძიებები აღნიშნულია რგპ-ში	უფრო ზუსტი რეკომენდაციები 2016 წლისთვის
4.	შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებისას მიზანშეწონილია უფრო გამარტივდეს და გაიმართოს	შესრულებულია - საქართველოს მთავრობამ შეიტანა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში. 2015 წლის 25 ნოემბერის №594 შესწორებით, განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელმაც უზრუნველყო ფონდიდან თანხის მიღებასთან დაკავშირებით წესების გამარტივება, ხოლო 2016 წლის 18 იანვარის ცვლილებით კი, ახლებურად დადგინდა ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტის თანადაფინანსების პროცედურები და პირობები. აგრეთვე, საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 20 აგვისტოს მიიღო განკარგულება №1750, რომელმაც რეკომენდაციების გათვალისწინებით, განსაზღვრა რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები.	შემდგომ შესაძლებლობებზე დისკუსიები მიმდინარეობს რეგულარულად

რეკომენდაციები რგპ-ს ერთწლიანი განხორციელების შემდგომ

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის დაწყებიდან ერთი წლის შემდგომ პროგრამის განხორციელება და შესრულება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, მისი ფართო სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული ზეგავლენა დამატებითი კვლევებისა და შეფასებების გარეშე ვერ დადგინდება, რაც 2017 წლის შემდგომ უნდა გაკეთდეს. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მოწოდებულ დაკვირვებებს, ასევე, მთლიანად პროცესზე საფუძვლიან მონიტორინგს ეყრდნობა და ძირითადად, პროექტების მართვისა და განხორციელების სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს (რაც განხორციელების ამ ეტაპისთვის ბუნებრივია). ის რეკომენდაციები, რომლებიც რეგიონული განვითარების პოლიტიკის შინაარსს ეხება, წინასწარი ხასიათისაა და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სხვა საჯარო ინსტიტუციების და დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული კვლევებითა და ანალიზით უნდა გამყარდეს.

რეკომენდაციები დაკავშირებული რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან

1. ზოგადად, 2015 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროცესი საქართველოს მთავრობის მიერ მობილიზებულად წარიმართა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მას ახალ მოთხოვნებთან ადაპტირების და ევროკავშირის სტანდარტებთან მისადაგების პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე სწრაფი რეაგირების უნარი გააჩნია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ხარისხი სხვადასხვა ღონისძიებებს შორის ჯერ კიდევ არათანაბარია, ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების გაძლიერების საჭიროება არსებობს, რათა პროგრამის განმახორციელებელმა, განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხებს, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, უკეთ გაართვან თავი. ამ საჭიროების დაკმაყოფილება შესაძლებელია როგორც ჰორიზონტალური პროგრამებით, მთლიანად ადმინისტრაციისთვის-ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე (მაგ: საჯარო შესყიდვები, მონიტორინგის პროცესი მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვა ინდიკატორები, პროექტის მართვის ციკლი), ისე უფრო ფოკუსირებული აქტივობებით, რომელთა ორგანიზება დეტალური ტრენინგების საჭიროებების ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს და რომელთა სამიზნე ადმინისტრაციის სხვადასხვა ჯგუფები ან თემატურად ორგანიზებული ჯგუფები იქნება (მაგ: ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტები, ინოვაციების ხელშეწყობა, ადგილობრივი განვითარება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის და განვითარების ტექნიკური ნორმები და სტანდარტები);
2. გარდა ამისა, ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში დაგეგმვის/პროგრამირების და მონიტორინგის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობებისთვის, თანამშრომელთა რაოდენობის გარკვეული ზრდის საჭიროება არსებობს; ამის საჭიროება კიდევ უფრო გაიზრდება ევროკავშირისა და საქართველოს შორის თემატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე.

3. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის სანდოობის და სიზუსტის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისთვის მუშაობის გაგრძელების საჭიროება არსებობს, რომელიც გულისხმობს:
- ა. 2016-2017 წლებში პროგრამის ფინანსური შესრულების გაზომვისთვის ათვლის წერტილის უკეთ განსაზღვრას; რეკომენდირებულია, რომ რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით მონიტორინგის გეგმის ახლანდელი დანართი #6 განახლდეს წელიწადში ორჯერ, იმ ინფორმაციით, რომელიც ასახავს მოცემული წლისთვის 31 დეკემბრის და 31 ივნისის მდგომარეობებს. ათვლის წერტილი 2016 წლისთვის (რგპ-ს მონიტორინგის გეგმის განახლებული დანართი #6) უნდა დამტკიცდეს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ამ ანგარიშთან ერთად და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე დაყრდნობით, რომელიც 2015 წლის დეკემბერში დამტკიცდა;
 - ბ. 2017 წლისთვის ფიზიკური სამიზნეების (მყისიერი შედეგების ინდიკატორების) განსაზღვრა. რეკომენდირებულია, რომ ახალი, განახლებული მყისიერი შედეგების ინდიკატორების ცხრილი (რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართი 5) რგსკ-ს მიერ ამ ანგარიშთან ერთად დამტკიცდეს;
 - გ. მეტი ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული თითოეული ღონისძიების დონეზე უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრაზე და განხორციელების პროგრესის ანგარიშგებისას უფრო მეტი კავშირი უნდა არსებობდეს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში დადგენილ უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებთან. თუმცა, რგპ-ს განხორციელების ამ ეტაპზე შედეგის ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრა არ არის რეკომენდებული.
 - დ. ცალკეულ რეგიონში ღონისძიების განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შესახებ მეტი ინფორმირება. ამას შესაძლოა დაემატოს ITI მონიტორინგის მხარდამჭერი ინსტრუმენტის შექმნა, რაც მონაცემების შეგროვებასა და მის ანალიზს გაამარტივებს.
4. ზოგიერთი სამინისტროს და განმახორციელებელი უწყების მიერ გაკეთებულ კომენტარებთან დაკავშირებით და კომუნიკაციების და რგპ-ს აქტივობების განხორციელების და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების მიზნით **სამინისტროებს, უწყებებს და სხვა ჩართულ მხარეებს შორის, რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის/პროგრამირების, მონიტორინგის და განხორციელების კუთხით, კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროება არსებობს. ეს შესაძლოა მოიცავდეს:**
- ა. რგის-ის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება რეგიონული პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა მაკოორდინირებელი აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის, კადრებით გაძლიერება, დამატებითი ტრენინგები, მეტი უფლებამოსილება პროგრამირების, მონიტორინგის და განხორციელების სტანდარტების შემოღების კუთხით და სექტორული პოლიტიკის ტერიტორიული განზომილების გამოყენება. ეს კი, თავის მხრივ, სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას შეუწყობს ხელს საქართველოში რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე წამყვანი როლის შესასრულებლად, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ რეგიონული განვითარების პროგრამებში მონაწილეობისა და მათი საუკეთესოდ გამოყენებისთვის;

ბ. რგპ-ს პრიორიტეტებთან და ინსტრუმენტებთან, რამდენადაც ეს პრაქტიკული და შესაძლებელია, შესაბამისობაში უნდა იყოს რეგიონული განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების პრიორიტეტები. საჭიროა უფრო მეტი პირდაპირი კავშირების განვითარება 2015-2017 წლების რგპ-სა და რგს-ების სამოქმედო გეგმებს შორის.

გ. როგორც მაგალითებმა აჩვენა, ასევე, საჭიროა კოორდინაციის გაუმჯობესება იმ უწყებებსა და ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც ერთიდაიგივე სფეროში ოპერირებენ (მაგ: მგფ, წყლის კომპანია, რგფ). აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთიდაიგივე ტიპის პროექტების შერჩევის კრიტერიუმების ჰარმონიზაციას - რაც თავის მხრივ, საჯარო ინსტიტუტებს შორის გადაფარვების და კონკურენციის რისკებს შეამცირებს, გააუმჯობესებს დაგეგმვას და უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობასა და ეფექტურობას;

5. ზოგიერთ ღონისძიებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი რეგიონული განვითარების ფონდის შემთხვევაში, საჭირო მოსამზადებელი პროცესები (იდეების ფორმულირება, დოკუმენტების მომზადება, ხარჯთაღრიცხვა) საბიუჯეტო წლის დაწყებამდე გაკეთდეს, რაც შესაძლებელს გახდის პროექტის განხორციელებისთვის თანხების ხარჯვა ახალი წლის დასაწყისშივე განხორციელდეს.

რეკომენდაციები დაკავშირებული რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან

6. შემდგომი რეგიონული განვითარების პროგრამებში, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, საჭიროა, ინფრასტრუქტურისთვის დაზოგილი ხარჯების პირობებში, ფინანსური ასიგნებების გაზრდის შესაძლებლობათა განხილვა - ადამიანური რესურსების განვითარებისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეობის, ინოვაციებისა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისთვის, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი საჯარო მომსახურებების (განათლება, ჯანდაცვა) მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს არაინფრასტრუქტურული ინვესტიციები არსებითია საქართველოს ყველა რეგიონის კონკურენტულობისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობების ზრდისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთ ქალაქში (უპირველესყოფლისა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი) უფრო მეტი ფინანსები საჭირო უმაღლესი განათლების მხარდაჭერის, და აკადემიურ წრეებს, საჯარო ადმინისტრაციასა და ბიზნეს სექტორს შორის კავშირის განვითარების მიზნით; საჭიროა რათა - გათავისებულ იქნეს და გრძელვადიან პერიოდში დაინერგოს ინოვაციები (მაგ: სოფლის მეურნეობა ან სურსათის გადამამუშავება). XXI-ე საუკუნეში საქართველოს ზრდის და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით აღნიშნული უაღრესად მნიშვნელოვანია.

7. კომპლექსური და უფრო ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის განსახორციელებლად, რეკომენდირებულია მეტი ფინანსების მოძიების შესაძლებლობათა განხილვა და გამოყენება. პრაქტიკაში ეს შეიძლება ნიშნავდეს:

ა. რეგიონული განვითარების ფონდის, როგორც დაფინანსების ერთ-ერთი წყაროს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გარდაქმნა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის უფრო ფართო და ქმედით ინსტრუმენტად;

ბ. საბიუჯეტო ხარჯვასა და საერთაშორისო დონორების დაფინანსებულ ან განხორციელებულ აქტივობებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია, და რეგიონული საჭიროებების განმსაზღვრელ ინსტრუმენტებზე მეტი ფოკუსირება;

გ. რეგიონული განვითარების შემდგომი ხელშეწყობისთვის, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებიდან მეტი დაფინანსებისა და პროექტების ინიცირების ძალისხმევა.

ცხრილი: სამოქმედო გეგმა ძირითადი რეკომენდაციების შესრულებისთვის

#	რეკომენდაციები	განრიგი	განმახორციელებელი უწყებები
1.	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სხვა განმახორციელებელი უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება დაგეგმვის/პროგრამირების, განხორციელებისა და მონიტორინგის კუთხით, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად	მიმდინარე პროცესი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - თავისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერებით; შემდგომი ტრენინგების კოორდინაციის ორგანიზებით; ტექნიკური დახმარების მიღებით, სპეციალური სემინარებით და სხვა სხვა განმახორციელებელი უწყებები - მეტი თანამშრომლების ჩართვის უზრუნველყოფით პროგრამირების, განხორციელებისა და მონიტორინგის ძალისხმევაში
2.	განგრძობითი სამუშაოები 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის საიმედოობისა და სიზუსტის გაუმჯობესების მიზნით, რაც მოიცავს:		
	ა. რგფ-ს მონიტორინგის გეგმის მე-6 დანართის განახლება	წელიწადში ორჯერ 2016 წლის სამიზნეები 2016 წლის აპრილში	რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება წლიური ანგარიშის მოწონების ფარგლებში
	ბ. ყველა ფიზიკური სამიზნის (მყისიერი ინდიკატორები) განსაზღვრა 2017 წლისათვის	2017 წლის სამიზნეები 2016 წლის აპრილში	რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება წლიური ანგარიშის მოწონების ფარგლებში
	გ. მეტი ყურადღების დათმობა მოსალოდნელ, უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრაზე	2016 და 2017 წლების წლიური ანგარიშები, ღონისძიებების ცხრილების განახლებით	განმახორციელებელი სამინისტროები და უწყებები, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, რეგიონული

			განვითარების სამთავრობო კომისია
	სადაც რელევანტური და შესაძლებელია, კონკრეტული რეგიონების ჭრილში მეტი ინფორმაცია ანგარიშგებისას, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ფიზიკურ და ფინანსურ პროგრესზე	ექვსი თვის და წლიური მონიტორინგის ანგარიშები	განმახორციელებელი სამინისტროები და უწყებები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია
3.	სამინისტროების, უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გაუმჯობესებული კოორდინაცია რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის/პროგრამირების, მონიტორინგისა და იმპლემენტაციის პროცესში	მიმდინარე პროცესი	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	ა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობების ზრდა, რაც მოიცავს შესაბამისი კადრებით გაძლიერებას, დამატებით სასწავლო ტრენინგებს, უფრო მეტ უფლებამოსილებას დაგეგმვის/პროგრამირების, მონიტორინგისა და იმპლემენტაციის სტანდარტების შემუშავებაში. აგრეთვე, სექტორულ ჭრილში მეტი ტერიტორიული/რეგიონული განზომილების შემოტანა	მიმდინარე პროცესი	საქართველოს მთავრობა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და დამხმარე პროგრამები
	ბ. რეგიონული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებისა და ინსტრუმენტების, რეგიონული განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან სინქრონიზაციის შემდგომი ძალისხმევა	2016 წლის ბოლომდე	რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებები
	გ. ერთსა და იმავე სფეროში მომუშავე სხვადასხვა უწყებებსა და ინსტრუმენტებს შორის კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესება (მაგ. მუნიციპალური განვითარების ფონდი, წყალმომარაგების კომპანია, რეგიონული განვითარების ფონდი.)	2017 წლის ბოლომდე	რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სხვა სამინისტროები და განმახორციელებელი უწყებები
4.	გამარტივებული/გამართული შიდა პროცედურების ეფექტიანი დანერგვა-გამოყენება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისას, კერძოდ, რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების განხორციელებისას	მიმდინარე	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, განმახორციელებელი უწყებები

5.	მომავალი რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადებისას, ინფრასტრუქტურისთვის დაზოგილი ხარჯების პირობებში, ფინანსური ასიგნებების გაზრდის შესაძლებლობათა განხილვა - ადამიანური რესურსების განვითარებისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეობის, ინოვაციებისა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისთვის, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი საჯარო მომსახურებების (განათლება, ჯანდაცვა) მიწოდების უზრუნველსაყოფად	2017 წლის შემდგომი პროგრამა	საქართველოს მთავრობა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები
6.	რეგიონული განვითარების პოლიტიკის უფრო ეფექტიანი წარმართვისთვის, მეტი ფინანსური რესურსების მოძიება	ეტაპობრივად, პოლიტიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით	
	ა. შესაძლებლობების განხილვა რეგიონული განვითარების ფონდის, როგორც მუნიციპალიტეტების პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი წყაროს შესაძლო გარდაქმნისთვის, რეგიონების უფრო ფართო სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტად.	2016 წლიდან	საქართველოს მთავრობა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	ბ. საბიუჯეტო ხარჯვასა და საერთაშორისო დონორების დაფინანსებულ ან განხორციელებულ აქტივობებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია, და რეგიონული საჭიროებების განმსაზღვრელ ინსტრუმენტებზე მეტი ფოკუსირება	2016 წლიდან	საქართველოს მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები
	გ. რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებიდან მეტი დაფინანსებისა და პროექტების ინიცირების ძალისხმევა	2017 წლის შემდეგ	საქართველოს მთავრობა, ევროკავშირი

დანართი 1. პროგრამის ღონისძიებების დონეზე ფინანსური და ფიზიკური პროგრესის მოკლე შეჯამება

ღონისძიება 1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

საქართველოს გზების ხარისხის გაუმჯობესება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება 2015- 2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რაც ამ ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხის უდიდესი მოცულობით დასტურდება - 2015 წელს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის ნახევარი გზების მშენებლობას დაეთმო. საანგარიშო წლის განმავლობაში 186 კონტრაქტს მოეწერა ხელი და აქედან წლის ბოლოსთვის 73 პროექტი სრულად განხორციელდა 113 კი დაიწყო. წლის პირველ ნახევართან შედარებით, როდესაც ძირითადად პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა, წლის მეორე ნახევარში ღონისძიების განხორციელება მნიშვნელოვნად დაჩქარდა. შედეგად, წლიური ფინანსური სამიზნეები დაახლოებით 100%-ით შესრულდა. ფიზიკური პროგრესის თვალსაზრისით წლიური სამიზნეები მიღწეულ იქნა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის მიზნით დამატებითი სამუშაოები ჩატარდა. ზოგიერთი პროექტის განხორციელება 2016 წელს გაგრძელდება.

ავტომაგისტრალის მშენებლობა 2015 წლის პრიორიტეტს წარმოადგენდა და წლის მანძილზე სამშენებლო სამუშაოები ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში 97 კმ გზებზე განხორციელდა. (თბილისი- ბათუმის გზა).

გზების მშენებლობა

აქ აქტივობების ფარგლებში გამოყოფილი თანხის 98.8% იქნა ათვისებული. შედეგად, 2015 წელს ჩქაროსნულ გზატკეცილზე დაიგო სულ 29 კმ. გზა. მათ შორის, 19,5 კმ ოთხხოლიანი მონაკვეთია (სადაც ორივე მიმართულებაზე, ჯამში, 39 კმ საგზაო საფარია დაგებული) ხოლო დანარჩენი 9,5 კმ-იანი მონაკვეთი - ორხოლიანია. 2015 წელს, ჩქაროსნულ გზატკეცილზე, ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა, ჯამში, 19,5 კმ გზაზე; დასრულების სტადიაში გადავიდა 13 ხიდის მშენებლობა, ხოლო 11 ხიდის მშენებლობა დასრულდა. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოძრაობის უსაფრთხოების პირობები, გაიზარდა გამტარუნარიანობა და გადაადგილების სიჩქარეები საქართველოს მთავარ ურბანულ ცენტრებს შორის (თბილისი- ქუთაისი -ბათუმი).

გზების რეაბილიტაცია

2015 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ათვისებული თანხა 153,7 მლნ. ლარს შეადგენს. 2015 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა 254 კმ საავტომობილო გზას (2015-27 წლების პროგრამის 40 %) და 36 ხიდს. რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში აშენდა 8 ახალი საავტომობილო ხიდი, რომელიც 2015-2017 წლების პროგრამის სამიზნის 40 პროცენტს წარმოადგენს.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის შედეგად გაუმჯობესდა საავტომობილო გზის ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები, უზრუნველყოფილი იქნა ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება, კომფორტული გახდა მგზავრობა და შემცირდა გადაადგილების დრო.

საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა

რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილია. 2015 წელს საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 38,9 მლნ. ლარი დაიხარჯა. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, კერძოდ: წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრის, გზისპირა კლდეებიდან ქვათაცვენის კერების გაწმენდისა და პრევენციის, ასევე, ზამთრის პერიოდში გზებზე თოვლწმენდისა და განვლადობის უზრუნველყოფის სამუშაოები. წლის მიწურულს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ზამთრის პერიოდში გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რადგან თითქმის ყველა რეგიონში დიდთოვლობა იყო. ქვეყნის მასშტაბით არსებულ საყრდენ პუნქტებში, მობილიზებული იყო თოვლწმენდი მექანიზმები და ტექნიკური მარლის მარაგი. გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების მწარმოებელი კონტრაქტორი კომპანიები გაწმენდით სამუშაოებს 24 საათიან რეჟიმში ასრულებდნენ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მივლინებული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები კი მიმდინარე გაწმენდით სამუშაოებს ადგილზე უწევდნენ კოორდინაციასა და მონიტორინგს. მიმდინარე შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6000კმ-მდე საავტომობილო გზაზე. მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების ჩატარებით მნიშვნელოვნად მალდება გზის საექსპლუატაციო მაჩვენებლები და ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების პირობები.

რეგიონული განზომილება

ამ ღონისძიების ფარგლებში ყველა აქტივობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა, რაც პირდაპირ უწყობს ხელს მათი კონკურენტუნარიანობის და ხელმისაწვდომობის ზრდას. 2015 წელს ხარჯების რეგიონული გადანაწილება გვიჩვენებს, რომ:

- ავტომაგისტრალების მშენებლობის სამუშაოები კონცენტრირებული იყო შიდა ქართველის და იმერეთის რეგიონებში, სადაც თბილისი-ქუთაისი-ბათუმის მიმართულებით მთავრი გზა გადის;
- არსებულ გზებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების რეგიონული გადანაწილება უფრო მეტად დაბალანსებულია და თითქმის მთელ რეგიონს თანაბრად მოიცავს, გარდა გურიის რეგიონისა, სადაც მხოლოდ 0,3 კმ გზის და 1 ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ღონისძიება 1.2 მყარი ნარჩენების მართვა

შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-მ 2015 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები შემდეგ 8 მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განახორციელა: კასპის, ფოთის, საჩხერეს, თერჯოლის, ხაშურის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. დაბა ბაკურიანის ნაგავსაყრელზე განხორციელდა ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.

რეგიონული განზომილება

2015 წლის მეორე ნახევარში განახორციელდა: ონის, დმანისის, ყაზბეგის, თიანეთის, ჩოხატაურის და ასპინძის მუნიციპალიტეტების 6 ნაგავსაყრელებზე სამშენებლო

სამონტაჟო სამუშაოები. ამის გარდა ჭიათურის, ხონის, ხარაგაულის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის, აბაშის, ჩხოროწყუს, ქარელის, მცხეთის, ყვარლის, ურეკის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტების 13 ნაგავსაყრელებზე დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდა.

მთლიანად 2015 წლის მანძილზე განხორციელდა 15 ნაგავსაყრელის რეაბილიტაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და 13 ნაგავსაყრელის დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ეს ციფრები შესაბამისად წარმოადგენენ 2017 წლისთვის დაგეგმილი სამიზნეების 76% და 68%. გარდა ამისა, 2015 წლის მანძილზე მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ გარემო პირობების გაუმჯობესების მიზნით კომპლექსური ღონისძიებები ჩატარდა. სტრატეგია ითვალისწინებს უარყოფითი გავლენის შემცირებას გარემოზე, მოსახლეობასა და ეკო-სისტემაზე ნაგავსაყრელების რეაბილიტაციის, გაუმჯობესების, კონსოლიდაციის და დახურვის გზით.

ნაგავსაყრელების ცენტრალიზაციის და კონსოლიდაციის შედეგად, მათი რაოდენობა შემცირდა, რაც დადებითად უნდა აისახოს გარემო პირობებზე. ნაგავსაყრელების გაუმჯობესებამ ასევე დადებითი ზეგავლენა იქონია გარემო პირობებსა და ჯანდაცვაზე. კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელები შემოღობილია და რეგულარულად იფარება მიწის დამცავი ფენით. ეს იცავს ნაგავს გაფანტვისაგან და ცხოველების შეღწევისაგან. მინიმუმამდე მცირდება ასევე ხანძრების და უსიამოვნო სუნის ალბათობაც.

საერთაშორისო პროექტები

როგორც კონსოლიდაციის უწყვეტი პროცესი გაგრძელდება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გერმანიის განვითარების ბანკის (KfW Entwicklungsbank) ფინანსური მხარდაჭერით გეგმავს მომდევნო წლებში ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის აშენებას ქუთაისში, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

ნაგავსაყრელის სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტირება და დიზაინის სამუშაოები, რომელსაც საკონსულტაციო კომპანია ERM-ი ახორციელებს. ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება 2017 წლისთვის იგეგმება.

ღონისძიება 1.3. წყალმომარაგება და წყალარინების სისტემები

ამ ღონისძიების ფარგლებში 6 სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება, მათ შორის: 4 მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ (მგფ), რომელიც საერთაშორისო კრედიტებითა და გრანტებით ფინანსდება (EIB, SIDA) და დაგეგმილი შემდეგი საბიუჯეტო კოდების ქვეშ: 25 04 კოდიდან 01-დან 04-მდე) და 2 საქართველოს წყლის კომპანიის მიერ, რომელიც ფინანსდება საბიუჯეტო კოდებიდან 25 04 05 და 25 04 06.

ნაწილი I. მგფ-ის მიერ განხორციელებული აქტივობები

2015 წლის განმავლობაში მგფ-ის მიერ წინა წელს დაწყებული პროექტები განახორციელა. პროექტების მიზანია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და რეგიონებში ტურიზმის პოტენციალის ზრდის მხარდაჭერის მიზნით. პროექტები დაფინანსებულია მსხვილი დონორების მიერ - ევროპის საინვესტიციო ბანკის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ORET ნიდერლანდების ექსპორტის განვითარების პროგრამისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც თანადაფინანსების წყარო. პროექტების ფარგლებში განახლდა წყლის მილები,

აშენდა ახალი სატუმბი სადგურები, დამონტაჟდა წყლის მრიცხველები, გარემონტდა დაქლორვის ნაგებობები და ა.შ. 2015 წლის მანძილზე საქართველოში მთლიანად 3727 ახალი მომხმარებელი დაუკავშირდა წყლის ქსელს, ხოლო 296 წყალარინების სისტემებს. რეაბილიტირებული და ახლადაშენებული წყალმომარაგების მიწების სიგრძემ 485,4 კმ-ს მიაღწია. პროექტების შედარებით ზოგადი შედეგები მოიცავს: საქართველოს რეგიონებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის შედეგად. ზოგადად, სამუშაოები გეგმის მიხედვით შესრულდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტორი კომპანიის ფინანსური და სხვა ტიპის პრობლემების გამო კონტრაქტის პირობები შეიცვალა.

1.3.1 ქობულეთი წყალარინების პროექტი - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ORET- ნიდერლანდების ექსპორტის განვითარების პროგრამა 25 04 01.

პროექტი ქობულეთში ხორციელდება და მოიცავს წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას. კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები დაგვიანებით დაიწყო, რაც კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი გახდა და ახლი კომპანიის მოძიება გახდა საჭირო. ცუდი ამინდის პირობების გამო პროექტში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რამაც განხორციელების პროცესის დაწყება შეაფერხა. მიუხედავად ზემოთაღნიშნული სირთულეებისა, 2015 წლის ფინანსური მაჩვენებელი სრულად იქნა მიღწეული.

1.3.2 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - ევროპის საინვესტიციო ბანკი - 25 04 02

პროგრამა 4 სხვადასხვა ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციას მოიცავს - გურიაში - ჩოხატაური, იმერეთში - ზესტაფონი (მესამე ფაზა) და თერჯოლა. ჩოხატაურსა და ზესტაფონში სამუშაოები დასრულდა. დადგენილი ინდიკატორები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის რეაბილიტაციას მოიცავდა. პროექტის მიმდინარეობისას შემდეგი სამუშაოები განხორციელდა: შეიცვალა მილსადენები, აშენდა ახალი სატუმბი სადგურები, დამონტაჟდა წყლის მრიცხველები, გარემონტდა დაქლორვის შენობები. უფრო ფართო მიზნები მოიცავდა წყლის სისტემის გაუმჯობესებას და ქობულეთის მოსახლეობის უზრუნველყოფას ხარისხიანი წყლით.

საანგარიშო პერიოდში წლიური ფინანსური შესრულება 96%-ია (2.8 მილიონი ლარი).

1.3.3 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II - ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი - 25 04 03

ამ აქტივობის ფარგლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა (მათ შორის მილსადენების გამოცვლა და ახალი მრიცხველების დაყენება) შემდეგ რეგიონებში:

- კახეთი: ახმეტა, ლაგოდეხი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, თელავი -კურდღელაური, გურჯაანი;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი- ონი;
- იმერეთი - ტყიბული, ზესტაფონი;
- სამეგრელო -ზემო სვანეთი; აბაშა, ხობი, სენაკი;
- გურია - ოზურგეთი;
- შიდა ქართლი - ქარელი;
- ქვემო ქართლი - თეთრიწყარო, წალკა, ბოლნისი;
- სამცხე-ჯავახეთი - ახალციხე, ასპინძა, ლიკანი-წალკერი;

- მცხეთა-მთიანეთი -დუშეთი

ონსა და გურჯაანში პროექტები წლის ბოლოსთვის დასრულდა, დანარჩენ რეგიონებში კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ასევე შესრულდა საინჟინრო და საკონსულტაციო ზედამხედველობითი სამუშაოები. აქტივობის მოსალოდნელი შედეგი მოიცავდა რეგიონებში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების გზით მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. დონორების მოთხოვნების შესაბამისად პროექტებში ცვლილება შევიდა, ამიტომ სამშენებლო სამუშაოები დაგვიანებით, 2014 წლის ნაცვლად 2015 წელს, დაიწყო. პროექტის დოკუმენტაციის კორექტირების/ცვლილებისათვის დაქირავებულ იქნა - ზედამხედველობითი საკონსულტაციო კომპანია - ILF. თუმცა, აღნიშნულ პრობლემებს წლიურ ფინანსურ შესრულებაზე გავლენა არ მოუხდენია და საანგარიშო პერიოდში 100%-იანი (31.3 მილიონი ლარი) შესრულება დაფიქსირდა.

1.3.4 წყალარინების სიტემების მდგრადი მართვა (SIDA) – 25 04 04

ამ აქტივობის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს (იმერეთი) და თელავის (კახეთი) საკანლიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. პროექტი 2014 წელს დაიწყო და 2015 წელს შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- თელავში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის მომზადება და ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება თელავის და წყალტუბოს გამწმენდი ნაგებობებისთვის.
- წყალტუბოსა და თელავში გამწმენდი ნაგებობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება

ხელშეკრულების თავდაპირველი გეგმა SIDA-თან ერთად წყალტუბოს პროექტის შეფასებას და სამშენებლო სამუშაოების დაწყებას ითვალისწინებდა. თუმცა, ფაქტიური შედეგები პროექტის შეფასების, პროექტის მოთხოვნების და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საწყისი ანგარიშის შემდგომ შემცირდა. ტექნიკური და ეკონომიკური შეფასებისა და კვლევების მოსამზადებლად არ იყო საკმარისი დრო და საკონსულტაციო კომპანიამ სამუშაოების დასასრულებლად დამატებით 3 თვე მოითხოვა. ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსამზადებლად კომპანიის შერჩევას უფრო მეტი დრო დასჭირდა ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ყოველივე ამის შედეგად, სამშენებლო სამუშაოების დაწყება გადაიდო, რომელიც ასახულია ფინანსურ ინდიკატორში: 2015 წელს დაგეგმილი ასიგნების მხოლოდ 7,9% იქნა ფაქტიურად დახარჯული.

ნაწილი II: „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებული ღონისძიებები

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ახორციელებს ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამას (საბიუჯეტო კოდი 25 02 05), რომელიც ერთ-ერთი უდიდესი დონორის - აზიის განვითარების ბანკი (აგბ) მიერ ფინანსდება. ამ ეტაპზე პროგრამაში შედის 4 აქტიური ტრანში და მოიცავს სამ რეგიონს: გურიას, იმერეთს, სამეგრელო - ზემო სვანეთს. ქვემოთ მოცემული აღწერა ასახავს სამუშაოების იმ წილს, რაც უკვე შესრულდა და ასევე გამოყოფილი თანხის რაოდენობას ყოველი კონკრეტული კონტრაქტის საერთო ღირებულებასთან შედარებით, რადგან ზოგიერთი კონტრაქტი 2015 წელს დასრულდა, ზოგიერთი საანგარიშო წელს დაიწყო და ზოგი კი მომდევნო წელს დასრულდება (მაგ., 2016 წ., 2017 წ., ან 2018 წ.) რამდენიმე

კონტრაქტს ხელი 2015 წლის მესამე კვარტალში მოეწერა და თანხების გადარიცხვა წინასწარ განხორციელდა.

ზემოთხსენებული საინვესტიციო პროგრამის **პირველი ტრანში** მოიცავს: მესტიის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური ქსელის მშენებლობას, რომელიც 2015 წლის 20 ივლისს დაიწყო; ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციას. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 88% შესრულდა და თანხის 81% -ის ათვისება მოხდა. მესტიისა და ანაკლიის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (მესტიის ლოტი) - პროექტის საერთო პროგრესი 21%, ფინანსური პროგრესი 19,3%; ურეკის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობის პროექტი ფინანსდება სამი ტრანშიდან. საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამუშაოების 22% შესრულდა, ხოლო საკონტრაქტო თანხის 21,4% იქნა ათვისებული. თბილისში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათაო ოფისის მშენებლობაც ასევე ამ ტრანშიდან ფინანსდება - ხელშეკრულება გაფორმდა 1 დეკემბერს და სამუშაოების დაწყება იგეგმება 2016 წლის მარტში.

მეორე ტრანშის ფარგლებში ხორციელდება მესტიისა და ანაკლიის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია. 2015 წლის დეკემბერს პროექტის საერთო პროგრესი იყო 25.5%, ფინანსური პროგრესი - 25%.

მესამე ტრანშის ფარგლებში მიმდინარეობს ურეკის კანალიზაციის გამწმენდი სათაო ნაგებობის მშენებლობა. 2015 წლის ბოლოს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 21.5% იყო შესრულებული, ხოლო საკონტრაქტო ღირებულების 15% ათვისებული. ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია - II ფაზა - პროექტის საერთო პროგრესი 8,4%, ფინანსური პროგრესი 7,3%.

მეოთხე ტრანშის ფარგლებში 2015 წლის 26 ოქტომბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ზუგდიდის წყლის სისტემის მშენებლობა - რეაბილიტაციის შესახებ, ხოლო 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ფოთის კანალიზაციის ქსელების მშენებლობის შესახებ.

გარდა სამშენებლო სამუშაოებისა, აღნიშნული ტრანშები ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურების, ტრანშების ზედამხედველობის ხარჯების, პროექტირების, აუდიტის მომსახურების დაფინანსებას. ასევე აზიის განვითარების ბანკის ინდივიდუალური კონსულტანტების მომსახურებას.

წყლით უზრუნველყოფის მხარდამჭერი აქტივობების ფარგლებში (გარდა აგბ-ის პროექტებისა), რომლის საბიუჯეტო კოდია 25 04 06, 2015 წლის პირველ ნახევარში ათვისებული 1,9 მლნ ლარი და 1.8 მლნ ლარი ეკუთვნის კასპს (შიდა ქართლი), 0,7 მლნ ლარი კი - უდაბურს (კახეთი). 2015 წელს მთავრობის მხრიდან 9 მლნ ლარის სუბსიდირება მოხდა და დაიგეგმა და დაემატა ახალი პროექტები. შედეგად დაგეგმილთან შედარებით წლიური ფინანსური ინდიკატორის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა (დაახლოებით 167%). აზიის განვითარების ბანკის ფინანსური დახმარების ფარგლებში პროექტები ხორციელდება შემდეგ რეგიონებში: გურია (ურეკი), იმერეთი (ქუთაისი) და სამეგრელო -ზემო სვანეთი (ფოთი, მესტია და ზუგდიდი). ამასთანავე თბილისში სათაო ოფისის მშენებლობის პროექტიც ასევე ამ წყაროდან ფინანსდება. წყლით უზრუნველყოფის მხარდამჭერი აქტივობების ფარგლებში (გარდა აგბ-ის

პროექტებისა), რომლის საბიუჯეტო კოდია 25 04 06, პროექტების დაფინანსება შემდეგ ადგილებში და რეგიონებში ხორციელდება: კასპი (შიდა ქართლი) და უდაბური (კახეთი).

ღონისძიება 1.4. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების მართვა

ეს ღონისძიება მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელიც ხორციელდება როგორც რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გზებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ნაწილი: საბიუჯეტო კოდი 25 02 02 05 (სამუშაოები, რომელიც ტარდება როგორც მყისიერი რეაგირება ბუნებრივ კატასტროფაზე და პრევენციული ღონისძიებები) და 25 02 02 07 (ზღვისპირა და ნაპირსამაგრი საშუალებები), გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავება (საბიუჯეტო კოდი 38 07) და ასევე სამრეწველო ნარჩენების შემცირების პროექტი, რომლის მხარდაჭერასაც ახორციელებს ნიდერლანდების მთავრობა და რომელზეც პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (საბიუჯეტო კოდი 38 01).

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შემდეგ ღონისძიებებს ახორციელებს:

ნაპირსამაგრი საშუალებები

2015 წელს ნაპირსამაგრი საშუალებები ჩატარდა 21 და დაიწყო 18 ადგილას. 3 პროექტი გაგრძელდება 2016 წელს. ფინანსური შედეგების თვალსაზრისით, რეალურმა დანახარჯებმა 2015 წელს დაგეგმილი სამიზნე ღირებულების დაახლოებით 100% შეადგინა. მოსალოდნელი მდგრადი შედეგია ეროზიის პრევენცია და წყალდიდობის შედეგებისგან მოსახლეობის დაცვა

1.4. ქვე-ღონისძიება (ა): ბუნებრივი კატასტროფების ლიკვიდაცია და პრევენციული სამუშაოები

შესაბამისი სამუშაოები ჩატარდა 31 ადგილას, საიდანაც 21 პროექტი 2015 წელს დასრულდა. სამუშაოებმა სამწლიანი მოსალოდნელი სამიზნე ღირებულების 44 პროცენტი შეადგინა. ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია, რის შედეგადაც სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გაუმჯობესდა და უფრო უსაფრთხო გახდა.

რეგიონული განაწილება

სამუშაოები განხორციელდა პრევენციული აქტივობების საჭიროების (ნაპირსამაგრი ღონისძიებები) და 2015 წელს მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების შესაბამისად. განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი მოდის კახეთზე (სულ 12 პროექტი), თუმცა ყველაზე დიდი თანხა დაიხარჯა მცხეთა-მთიანეთზე (2.2 მლნ. ლარი), შემდეგ გურიაზე (2.0 მლნ. ლარი), და ბოლოს, კახეთზე (1.5 მლნ. ლარი).

გარემოს დაცვა, მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია

რაც შეეხება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიების ნაწილს, მისი დაფინანსება მიზნობრივი გრანტებით მოხდა, რომლებიც სააგენტომ მოიპოვა უშუალოდ. 2015 წელს 38 07 კოდით (ნაწილი კოდიდან) სააგენტოს "ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვის" ღონისძიებაზე დაგეგმილი დანახარჯი 0.2 მლნ. ლარით განისაზღვრა. თუმცა ამ ღონისძიებაზე რეალურმა დანახარჯებმა 0.587 მილიონი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა 2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი შესწორებების შედეგად, სააგენტოს ფაქტიური ბიუჯეტი (უფრო სწორად, სააგენტოს საკუთარი შემოსავლები) აკუმულირებული 38 07 კოდის ქვეშ 10.68 მლნ ლარით განისაზღვრა. ამ თანხიდან 4.5 მლნ. ლარი 2015 წლის პირველ ნახევარში დაიხარჯა, ხოლო 6.4 მლნ. ლარი - წლის მეორე ნახევარში. ასე რომ 2015 წლის სრულმა დანახარჯმა 10.9 მლნ. ლარი (მოზიდული გრანტების ჩათვლით) შეადგინა. შედეგად 2015 წელს 9.5 მლნ. ლარის სამიზნე დანახარჯების გადაჭარბება 14.7%-ით მოხდა.

2015 წელს განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების ჩამონათვალში შედის:

- ყოველწლიური ინფორმაციული ბიულეტენი "საქართველოში 2014 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2015 წლისთვის". ეს ბიულეტენები გადაეცა საქართველოს ათი (10, მათ შორის თბილისი და აჭარა) რეგიონის გუბერნატორებს, სხვადასხვა სამინისტროებსა და ინსტიტუტებს.
- რეგულარულად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე ამინდის პროგნოზირებისა და მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების მიზნით სადღეღამისო რეჟიმში დაკვირვებების წარმოება და მონაცემების დამუშავება.
- მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზირება და გაფრთხილება (საანგარიშო პერიოდში სულ ასეთი 69 გაფრთხილება გაიცა).
- მდინარის აუზებიდან გაზაფხულის წყალდიდობების და გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერის, ღვარცოვის, სეტყვის) პროგნოზი საქართველოს 11 რეგიონისთვის (მათ შორის თბილისი და აჭარა).
- ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების პროგნოზირებისთვის მცინვარის კალთაზე დროებითი სადგურების განთავსება; შემუშავდა სტეფანწმინდაში შესაძლო სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნის კონცეფცია.
- წყალდიდობებისა და მეწყერების ბუნებრივი საფრთხეების რუკების (1:10000 და 1:5000 მასშტაბის) შედგენა. მთიანი ზონისთვის (მესტიის მუნიციპალიტეტი) პრევენციული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.
- საქართველოს 12 მთავარ მდინარეზე, მათ შორის მდინარე მტკვარზე ჰიდრომეტეოროლოგიური და ტოპოგრაფიული მონიტორინგის განხორციელება.
- შედგა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა - 153 დოკუმენტი, სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტისა და მოქალაქის მოთხოვნის საფუძველზე. შედეგად შეფასდა 378 დასახლებული პუნქტში მცხოვრები 1014 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მდგომარეობა; შემუშავდა რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებებისა და პრევენციული აქტივობების ჩასატარებლად ბუნებრივი გეოლოგიური საფრთხეების პროგნოზირებისთვის.

- გეოლოგიური საფრთხეების ანალიზი; მომზადდა წინასწარი შეფასებები და გადაუდებელი ვიზუალური საინჟინრო -გეოდინამიკური დასკვნები „დიდი“ თბილისის ტერიტორიისთვის - დაბა წყნეთი, სოფელი ახალდაბა და წვერი 2015 წლის 13-14 ივნისს განვითარებული გეოლოგიური მოვლენების შედეგად გამოწვეული სტიქიური მოვლენის შესახებ.
- განხორციელდა ყოველწლიური გეოლოგიური კვლევები საქართველოს 11 რეგიონში (მათ შორის თბილისი და აჭარა) და მომზადდა 44 დასკვნა გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური შეფასების მიზნით.

რეგიონული განაწილება

2015 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს ღონისძიებები თითქმის საქართველოს ყველა რეგიონში განხორციელდა. რეგიონებში აქტივობების დეტალური ჩამონათვალი ასეთია:

მცხეთა - მთიანეთის რეგიონი - ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების (მეწყერი, ღვარცოფი) პროგნოზირებისთვის მყინვარის კალთაზე დროებითი სადგურები განთავსდა; შემუშავდა სტეფანწმინდაში შესაძლო სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნის კონცეფცია.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი - მომზადდა წყალდიდობებისა და მეწყერების ბუნებრივი საფრთხეების რუკები (1:10000 და 1:5000 მასშტაბის). მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, სოფელი მესტიისა და მულხურის თემისთვის შემუშავდა პრევენციული ღონისძიებები და რეკომენდაციები.

რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის და იმერეთის რეგიონები - გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 4 მუნიციპალიტეტში (ონი, ლენტეხი, ცაგერი და სამტრედია) დაგეგმილი მდინარის ნაპირდაცვითი პროექტებისთვის ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. 3 მეწყერულ უბანზე იმერეთში განხორციელდა მონიტორინგული კვლევები პროექტის -“წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მოქნილი პრაქტიკის შემუშავება მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში“- ფარგლებში.

მცხეთა - მთიანეთის რეგიონი - დუშეთის მუნიციპალიტეტში მდინარე არაგვის დაბლობზე, განხორციელდა კვლევები საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) შეფასების მიზნით; თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით შემუშავდა გეოლოგიური საფრთხეების რუკები; სამომავლო ღონისძიებებისთვის შემუშავდა რეკომენდაციები; ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში რამდენიმე ადგილას შეიქმნა მონიტორინგის ქსელი.

მომზადდა რეგიონის (ხევსურეთი, მცხეთა - მთიანეთი) მაღალმთიანი ნაწილის დაუსახლებელ ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ ვიზუალური საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნები.

1.4. ქვე-ღონისძიება (ბ) : ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტები

ძველი დაბინძურებული ინდუსტრიული ზონების ნარჩენებისგან გათავისუფლება სახელმწიფოს მოვალეობაა. გამომდინარე აქედან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2011 -2015 წლებში განახორციელა პროექტი „დარიშხანშემცველი ნარჩენები საქართველოში“. ეს პროექტი დაფინანსებული იყო

ნიდერლანდების მთავრობის მიერ (ბიუჯეტი შეადგენდა 750 000 ევროს). ეს დაფინანსება არსებული მოცულობის დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და დამატებითი თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო. 2015 წლის მარტში საბიუჯეტო კოდით 38 01 გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 114 294 ევრო ექვივალენტი ლარში (დაახლოებით 0.274 მილიონი ლარი).

2015 წლისთვის ყოველწლიური ფინანსური სამიზნე დაახლოებით 100%-ით შესრულდა. ზოგიერთი აქტივობები გარდამავალი იყო და 2016 წელს გაგრძელდება. დონისძიებების დეტალური ჩამონათვალი, ასეთია:

- მოედანი „ურავი-1“-ზე ნაკლებ დაბინძურებული სამშენებლო და სამთო ნარჩენებისთვის (3000 მ³ ტევადობის) სარკოფაგის მშენებლობა.
- ძლიერდაბინძურებული სამშენებლო და სამთო ნარჩენებისთვის (10 000 მ³ ტევადობის) სარკოფაგის მშენებლობა მოედანი 3 / „ურავი 3“-ზე.
- არსებული სარკოფაგის რეაბილიტაცია მოედანი 2 / „ურავი 2“.
- განხორციელდა ყველა მოედანი შემოღობვა და გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმა;
- განხორციელდა დარიშხანის შემცველი სამშენებლო და სამთო ნარჩენებით დაბინძურებული შენობების დემონტაჟი;

2015 წლის მდომარეობით უსაფრთხოდ განთავსებული სახიფათო (დარიშხანის შემცველი) ნარჩენების საერთო რაოდენობამ რაჭაში (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) და რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონში შეადგინა 20 000 მ³.

შესრულებული სამუშაოების შედეგად გარემოს დაბინძურების და ადგილობრივ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის რისკი შემცირდა.

საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი დარიშხანშემცველი ინდუსტრიული ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მთავარ დაბრკოლებას სათანადო ფინანსური რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს. დარიშხანის ნარჩენებით დაბინძურებული ძველი სამრეწველო ობიექტები ასევე განთავსებულია ქვემო სვანეთში (სოფელი ცანა) რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რაიონში. 2012 წელს „გარემოსა და უსაფრთხოების ინიციატივის“ ფარგლებში გაწეული ფინანსური მხარდაჭერის წყალობით განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოს დაბინძურების შეფასებას და არსებული საშიში ნარჩენების რაოდენობის დადგენას. სოფელ ცანაში, ქვემო სვანეთი, დარიშხანშემცველი ნარჩენების რაოდენობამ 52 000 ტონა შეადგინა. ამის საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მოამზადა და მთავრობას განსახილველად წარუდგინა „2016-2030 წწ-ის ეროვნული ნარჩენების მართვის სტრატეგია და 2016 -2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. ამ დოკუმენტების მიღება 2016 წლის მარტში იგეგმება. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ქვემო სვანეთის სოფელ ცანაში არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსება დონორების დახმარებით 2017 - 2019 წლებში განხორციელდება. ამისთვის საჭიროა დაახლოებით 2.4 მლნ. ევრო, მაგრამ ჯერჯერობით სახსრები მოძიებული არ არის.

რეგიონული განაწილება

სახიფათო დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსება საქართველოს ერთ რეგიონში - რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა.

ძირითად დაბრკოლებას ფინანსური რესურსების სიმწირე წარმოადგენდა. შედეგად ვერ მოხერხდა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება მდინარე ლუხუმზე, რომელიც

მოედანი 2/ „ურავი 2“-ის ახლოს მდებარეობს. პროექტით განსაზღვრული სამუშაოები, კერძოდ კი დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსება ვერ განხორციელდა მოედან 4 / „ურავი 4“ - ზე მისასვლელი გზის 15 კმ-იანი მონაკვეთის ცუდი მდგომარეობის გამო.

ღონისძიება 1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

საქართველო ტყის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. ტყეები ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი რესურსია, რომელიც მოსახლეობას საშეშე, სამშენებლო მასალებით, ასევე ტყის მეორადი პროდუქტებით ამარაგებს და ცხოველებსა და ფრინველებზე ნადირობის საშუალებას აძლევს. ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა და ადგილობრივ მოსახლეობაში ტყითსარგებლობის სამართლიანი და თანაბარი განაწილება 2015 -2017 წწ-ის რგპ-ს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

აქტივობები, რომელიც ტყის მდგრად მართვას ისახავს მიზნად, ხორციელდება, სსიპ საქართველოს სატყეო სააგენტოს მთლიანი ბიუჯეტის ფარგლებში. ამ ტიპის ღონისძიებებისთვის დაგეგმილი ფინანსური სამიზნე 2015 წლისთვის 1.8 მლნ ლარი იყო (შესწორებული 2015 წლის ივლისში). ეს წლიური ფინანსური მაჩვენებელი 76.4%-ით შესრულდა. 2015 წელს სსიპ ეროვნულმა სააგენტომ, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარდა სატყეო ღონისძიებებს საკუთარი შემოსავლებიდან 0.2 მლნ ლარი მოახმარა. საანგარიშო წლის განმავლობაში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა:

ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები

გაგრძელდა სამცხე-ჯავახეთში მავნებლებსა და დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები: დაზუსტდა მავნებელთან ბრძოლისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი. შესყიდულ იქნა 10 000 ცალი ფერომონი იპსოვიტი. შედეგად დაახლოებით 3 მილიონამდე მავნებელი განადგურდა. გაგრძელდა მცხეთა - მთიანეთში მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები: შესწავლილ იქნა მავნებლების გავრცელების მდგომარეობა, იდენტიფიცირებულ იქნა შესაწამლი ფართობები და გამოსაყენებელი პრეპარატების ჩამონათვალი. იმერეთის რეგიონში გამოვლენილ მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებებისათვის შესყიდულ იქნა 150 ცალი მწერსაჭერი და ორი სახის ფერომონი (ტიმოვიტი და აკუვიტი) სხვადასხვა სახის ქერქიჭამია ხოჭოების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გურიის რეგიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიისათვის (BP), მომზადდა საგრანტო ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები ტყის აღდგენა - განახლების კვლევის მოსამზადებლად. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბზის კორომების სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის ორგანიზების მიზნით შეირჩა 2000 ცალი ბზის კალამი, მათი გამრავლების და ბუნებრივ გარემოში დაბრუნებისთვის.

ტყითსარგებლობის ღონისძიებები

განხორციელდა სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის მასივებში მოსაწყობი (ახალი გზა) და სარეაბილიტაციო სატყეო-სამეურნეო გზების პროექტის შედგენის სამუშაოები: დაპროექტებულ იქნა სულ 216,62 კმ გზა, მათ შორის: ახალი გზა - 44,4 კმ, ხოლო სარეაბილიტაციო - 172,2 კმ.

საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო მართვა

ამ თვალსაზრისით, 2015 წლის განმავლობაში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა:

- დაზუსტდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობები.
- გამოცხადდა და შედგა 2 ელექტრონული ტენდერი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხისა (33 000 ჰა) და ასპინძა-ახალქალაქის (20 500 ჰა) სატყეო უბნების ინვენტარიზაციის სამუშაოების განხორციელების მიზნით. გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოების პირველი ეტაპი და მეორე ეტაპის საველე სამუშაოების ნაწილი. ვინაიდან, აღნიშნული ტენდერები ვერ შედგა წლის პირველ ნახევარში, შესაბამისად, 2015 წელს ვერ მოესწრო სამუშაოების დასრულება, რამაც განაპირობა მათი 2016 წელს გაგრძელება.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს (საბიუჯეტო კოდი 38 04 05), 2015 წლის დანახარჯებმა მხოლოდ 0.233 მლნ ლარი შეადგინეს სამიზნე ღირებულებასთან (0.597 მლნ) შედარებით. ასეთი მცირე პროგრესი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ვერ მოხერხდა ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური ტრაქტორის შეძენა (0.5 მლნ ლარი. სხვა დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის სატყეო უბნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა (სულ 46 ერთეული) და ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება (რომელმაც ჯამში 26 000 ჰა ტერიტორია მოიცვა) წარმატებით განხორციელდა.

ასევე 2015 წლის განმავლობაში შეძენილ იქნა რამდენიმე სახის ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა: ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები, აირქაფოვანი ცეცხლმაქრები, ზურგის კომპაქტური მაქრები. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა განაწილდა 9 სატყეო სამსახურში, სატყეო უბნების მიხედვით.

წლის მეორე ნახევარში შედგა ელექტრონული ტენდერი 1 ერთეული ბულდოზერის შესყიდვის მიზნით, მაგრამ, ვინაიდან, მომწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შესრულება, ხარჯები გაწეულ იქნა მხოლოდ ავანსის შესაბამისად (ბულდოზერის ღირებულების 30%-ის ოდენობით), რაც ასევე, უარყოფითად აისახა ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელზე (42.4%).

რეგიონული განაწილება

ღონისძიებები განხორციელდა საქართველოს ყველა რეგიონში:

- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთის და სამცხე - ჯავახეთის რეგიონებში სპეციალური ჭრის განხორციელების მიზნით, განხორციელდა მერქნული რესურსის მარაგების დადგენა-დაზუსტება, მოინიშნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები.
- კახეთის რეგიონში განხორციელდა აკაციის კორომების შესწავლა, დადგინდა მარაგები, დაზუსტდა განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნები და მათი ფართობები.

- სამცხე - ჯავახეთის რეგიონი - 4 სატყეო უბნის (ადიგენი, ახალციხე, ასპინძა-ახალქალაქი, ბორჯომ-ბაკურიანი) ტერიტორიაზე განთავსებული იქნა 5 000 ცალი ფერომონიანი მწერსაჭერი. 2015 წელს მაისი-ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა 10 მონიტორინგის ვიზიტი, შედეგად, სულ განადგურებულია 3 მილიონამდე მავნე მწერი.
- გურიის რეგიონში, ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის ორგანიზების მიზნით შემუშავდა ბახმაროს საკურორტო ტყეების აღდგენისა და განახლების პროექტის სამუშაო ვერსია.
- კახეთსა და სამეგრელო - ზემო სვანეთში პათოგენების შემცირების მიზნით შეირჩა ფართობები და მომზადდა ტყეკაფის უბნები.
- იმერეთში ფერომონის მწერსაჭერები განთავსდა ტყიბულის სატყეო უბანში, სადაც მოხდა მავნებლების გამოვლენა.
- სამეგრელო ზემო სვანეთის, კახეთის, გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში ICUN-ის მიერ დაქირავებულმა საერთაშორისო ექსპერტმა მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით სავსე შესწავლები განახორციელეს.

ღონისძიება 2.1 ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში პროგრამული და ინსტიტუციონალური ინიციატივების საშუალებით

ამ ღონისძიების ზოგადი შედეგები ფინანსური თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს როგორც შედარებით დაბალი, თუმცა მიუხედავად ამისა, მხარდაჭერილი ბიზნესების რაოდენობის კუთხით ის საკმაოდ წარმატებულია. 2015 წლისთვის მთლიანი სამიზნე ღირებულება, რომელიც ფინანსურ ცხრილშია მოცემული (12 მლნ. ლარი). მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ბიზნესის დასაფინანსებლად ფინანსთა სამინისტროდან სუბსიდიის სახით მიიღო 9.8 მლნ. ლარი ნაცვლად 12 მილიონი ლარისა, რაც დაგეგმილი იყო. ეს თანხა რეგიონებს შორის გადანაწილდა, რომელთა შორის არის თბილისი და აჭარაც. აჭარის გარეშე პროგრამის განხორციელების რეალური წილი 76.4 პროცენტს შეადგენს. რომ შევაჯამოთ, პროგრამის განხორციელების შედეგებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის გამოყოფილი სახსრები ორივე კომპონენტში ბიზნესის თანადაფინანსების მიზნით იქნა შემცირებული.

ამ ღონისძიებების ფარგლებში სამი კომპონენტი ხორციელდება:

„აწარმოე საქართველოში“

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გაზრდით კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. საანგარიშო წლის მანძილზე პროგრამა კონცენტრირებული იყო კერძო სექტორის საჭიროებებზე და ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი ცვლილებები განახორციელა. ცვლილებებს შედეგად მოჰყვა ინვესტიციისა და სესხების მოცულობის ზრდა, ასევე მხარდაჭერილი ბიზნესების რაოდენობის მატება, მიუხედავად დაგეგმილზე ნაკლები დაფინანსებისა. 2015 წელს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ მიკრო და

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტებისთვის 12 მილიონი ლარი მოითხოვა, მაგრამ მხოლოდ 9.8 მლნ. ლარი მიიღო. ეს თანხა რეგიონებს შორის გადანაწილდა და მიკრო და მცირე ბიზნესების განვითარებასა და ბანკებისა და სალიზინგო კომპანიების სესხების თანადაფინანსებას მოხმარდა. გამომდინარე იქიდან, რომ დაფინანსება მოსალოდნელზე მცირეა და ამავდროულად მცირე და მიკრო მეწარმეების მხრიდან მოთხოვნა დიდია, ზოგიერთი ბიზნეს იდეის თანადაფინანსება 2016 წელს მოხდება.

მიუხედავად ფინანსთა სამინისტროს მიერ რეალურად გამოყოფილი სუბსიდიისა, რაც მოსალოდნელზე ნაკლები იყო, ახლადგახსნილი ბიზნესის რაოდენობამ დაგეგმილი 15-ის ნაცვლად 26 შეადგინა, განახლებული ბიზნესის რაოდენობა იყო 30 ნაცვლად 37-სა. ხოლო გაცემული სესხების მოცულობა იყო 96.5 მლნ ლარი ნაცვლად დაგეგმილი 60 მლნ ლარისა; რეალურმა საერთო ინვესტირებამ დაგეგმილს 32.6 მლნ ლარით გადააჭარბა.

მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარების კომპონენტი „აწარმოე საქართველოში“ მიზნად ისახავს მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების მხარდაჭერას მათთვის სათანადო დაფინანსებისა და ცოდნის მიცემით. ეს კომპონენტი მხარს უჭერს მცირე და მიკრო საწარმოების ბიზნეს იდეას და ინტენსიურ ტრენინგებით უზრუნველყოფს, პროექტის მენეჯმენტსა და ბიზნეს დაგეგმარებაში ასევე ახალდამწყებებს სთავაზობს 5 000-დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსებას. 2015 წელს 610 ახალი მიკრო და მცირე ბიზნესის თანადაფინანსება განხორციელდა და თითქმის ყველა მათგანი რეგიონებში მოხდა. ეს 2017 წლის სამიზნე მაჩვენებლის ერთი მეხუთედია. ამავდროულად ახლადდაარსებულ ბიზნესებმა 2100 ახალი სამუშაო ადგილი შექმნეს - რაც თითქმის უტოლდება 2015 წლის სამიზნე ღირებულებას (2530). ჯამში, პროგრამამ მხარი დაუჭირა 1040 ბიზნეს იდეას.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების თანადაფინანსება

ამ ღონისძიების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი გულისხმობს კომერციული ბანკების (არანაკლებ 150 000 აშშ დოლარი) და სალიზინგო კომპანიების (50 000 დოლარამდე) მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, რაც მიზნად ისახავს სამრეწველო სექტორში სხვადასხვა ბიზნესის დაფინანსებას და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენას. პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ კომერციული ბანკებისთვის პროცენტის გადახდის თანადაფინანსების შესახებ 64 ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. საერთო მოსალოდნელი ინვესტირება 174 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო დამტკიცებული სესხების მოცულობა - 97 მლნ ლარს. უდიდესმა ქართულმა კომერციულმა ბანკებმა (თი-ბი-სი ბანკი, საქართველოს ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ვი-თი-ბი, ქართუ ბანკი, ბაზისბანკი, კორსტანდარტ ბანკი, პროგრეს ბანკი და ბანკი რესპუბლიკა) სესხები სამრეწველო (არასასოფლო სამეურნეო) მიზნებისთვის გასცეს. 2014 -2015 წლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ 88 სასესხო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელთაგან 66 ბანკის სესხია, ხოლო 22 - სალიზინგო კომპანიების.

ბიზნესის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

პროგრამის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში, 2015 წელს საკუთრების გადაცემა მოხდა 21 ბენეფიციარზე. ეს სალიზინგო კომპონენტია და ბიზნესისთვის მანქანა-დანადგარების გადაცემას ისახავს მიზნად. ჯამში 2014 წელს

პროგრამის დაწყებიდან ქონების გადაცემა მოხდა 47 ბენეფიციარზე, რომელთაგან 8 პროგრამის მეორე (სასესხო) კომპონენტითაც სარგებლობდა.

რეგიონული განზომილება

აღსანიშნავია პროგრამის რეგიონული მასშტაბები. პროგრამის ფარგლებში რეგიონებში შეიქმნა 10 ახალი საწარმო (გარდა მიკრო და მცირე ბიზნესისა): მცხეთა - მთიანეთში (2), სამეგრელო - ზემო სვანეთში (3), ქვემო ქართლში (4) და შიდა ქართლში (1). უკვე არსებული ბიზნესების მოდერნიზება მოხდა იმერეთში (4), მცხეთა-მთიანეთში (4), სამეგრელო - ზემო სვანეთში (2), ქვემო ქართლში (3) და შიდა ქართლში (2). საბანკო სესხების 60% (58.5 მლნ. ლარი) გაიცა რეგიონულ ბიზნესებზე. ბანკების მიერ სესხების ყველაზე დიდი მოცულობა გაიცა ბიზნესებისთვის ქვემო ქართლში -33.7 მლნ. ლარი, შემდეგ მცხეთა -მთიანეთში -10.7 მლნ. ლარი. საბანკო სესხები ასევე მიიღეს ბიზნესებმა სამეგრელო -ზემო სვანეთში (7.5 მლნ ლარი), იმერეთსა (3.7 მლნ. ლარი) და შიდა ქართლში (2.8 მლნ ლარი).

მცირე და მიკრო ბიზნესის 97% (610-დან 517) შეიქმნა რეგიონებში (თბილისის გარეთ). ორ რეგიონში ახლადშექმნილი ბიზნესების რაოდენობამ 100 გადააჭარბა: სამცხე-ჯავახეთში 125 და იმერეთში 112. სამუშაო ადგილების ნახევარზე მეტი (2100-დან 1054) თბილისის გარეთ შეიქმნა.

ღონისძიება 3.1 საირიგაციო სისტემების მართვის გაუმჯობესება

2015 წლის იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 51 სარეაბილიტაციო პროექტი, რომელიც რეგიონებში საირიგაციო სისტემების მოდერნიზებას ისახავს მიზნად. საანგარიშო წლის ბოლოს შპს „საქართველოს მელიორაცია“ 44 პროექტის რეაბილიტაციის დასრულება შეძლო (51-დან). შედეგად დამატებით გასარწყავებულმა ფართობმა 12, 000 ჰა შეადგინა, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება მოხდა 9, 000 ჰა მიწაზე. მთლიანობაში ქვეყნის 108,000 ჰა წარმოადგენს რეგულარულად სარწყავ ფართობს. ამ ტიპის პროექტებს საერთო ჯამში დახარჯული 64,40 მლნ ლარის უმეტესი ნაწილი - 63,5 მლნ ლარი მოხმარდა.

გარდა ამისა, 2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დამშრობი (სადრენაჟო) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები 15 ობიექტზე. აქედან წლის ბოლომდე დასრულდა 7 პროექტი. შედეგად 1,375 ჰა მიწის ფართობი აღიჭურვა სათანადო სადრენაჟო სისტემით და 620 ჰა ფართობზე მოხდა სისტემების რეაბილიტაცია. მთლიანობაში სახნავ-სათესი მიწების 1995 ჰექტარი აღიჭურვა სადრენაჟო სისტემით.

რეგიონული განზომილება

2015 წელს დასრულებული საირიგაციო პროექტები კონცენტრირებული იყო შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი - 15 პროექტი, ქვემო ქართლი - 10, კახეთი - 6, სამცხე-ჯავახეთი - 4, მცხეთა-მთიანეთი - 2. სადრენაჟო პროექტები განხორციელდა: გურიაში - 2,

აჭარაში -1, სამეგრელო-ზემო სვანეთში -4. ქვეყნის მასშტაბით პროექტების განაწილება ასახავს ცალკეული რეგიონის საჭიროებასა და სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობას და ემყარება 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 2015-2020 წწ-ში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას.

იმ ფართობების კადასტრის არ არსებობის გამო სადაც მელიორაციის სისტემებია მოწყობილი ვერ აღირიცხება სამელიორაციო ფონდის რეალური მაჩვენებლები, ვერ ხორციელდება ამ ფართობების პერიოდული ინვენტარიზაცია, რაც ერთგვარი ხელისშემშლელი ფაქტორია სამელიორაციო სისტემების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა დაეხმაროს კომპანიას მოახდინოს საკადასტრო ბაზის განვითარების ინიცირება. შპს „საქართველოს მელიორაციას“ სჭირდება დაახლოებით 1,0 მილიარდი ლარის ინვესტიცია, რათა 2020 წლისათვის განხორციელდეს გამიზნული შედეგის მიღწევა. მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათი მხრიდან მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი დახმარების კოორდინირება, რათა არ მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების დუბლირება და ურთიერთგადაფარვა.

ღონისძიება 3.2. ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა

2015 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, სააგენტომ განახორციელა 4092 სესხის საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება. აქედან 2134 სესხის საპროცენტო განაკვეთი დაფინანსდა 2015 წლის პირველ ნახევარში და 1958 ახალი სესხის საპროცენტო განაკვეთი წლის მეორე ნახევარში. სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოს ამ პროგრამის განსახორციელებლად ჰქონდა 30 მილიონი ლარის მოცულობის ბიუჯეტი, თუმცა მოგვიანებით ბიუჯეტი დაკორექტირდა და თანხა 34.47 მილიონამდე გაიზარდა. ამ ცვლილებამ გავლენა იქონია სუბსიდირებული სესხების რაოდენობაზე. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა თოთხმეტი (14) ახალი საწარმო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო და საკვებ პროდუქტს აწარმოებს. სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტომ გამიზნულ შედეგს (2500) თითქმის უკვე 100%-ით გადააჭარბა. ეს პროგრამის განვითარების დადებით პროგრესზე მიუთითებს, რაც სამომავლოდ ადგილობრივი საკვები პროდუქტების წარმოების სტატისტიკაზე დადებითად იმოქმედებს. შეღავათიანი აგრო კრედიტის პროგრამამ მოტივაცია მისცა ინვესტორებს დაეჭვარებიანთ ინვესტირების პროცესი და გაეზარდათ წარმოებისა და გადამამუშავების მასშტაბები. ფინანსური მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაძლებლობების ნაკლებობის გამო შეღავათიანი აგროსესხების პროგრამით ყველა მცირე ფერმერმა ვერ ისარგებლა. პროგრამა მთლიანად ხორციელდება კომერციული ბანკების მიერ და სწორედ ამიტომ სესხის გაცემის პროცედურები სტანდარტულია. მცირე და საშუალო ზომის მწარმოებლებს ნაკლები ფინანსური გამოცდილება გააჩნიათ და სწორედ ამიტომ მათ არ იციან, როგორ მოახდინონ თავიანთი ბიზნეს იდეების წარმოჩენა და სათანადოდ დაგეგმვა. მნიშვნელოვანია მოხდეს მცირე და საშუალო ზომის ფერმერების, ასევე ფერმერთა ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეეძლოთ ფინანსებზე წვდომა. ბიზნეს გეგმების განვითარების მხარდაჭერა ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

რეგიონული განზომილებები

შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ფარგლებში 2015 წელს რეგიონების ჭრილში შეიქმნა შემდეგი რაოდენობის ახალი საწარმოები:

- კახეთი - 1 საწარმო

- ქვემო ქართლი - 2 საწარმო
- შიდა ქართლი - 2 საწარმო
- მცხეთა მთიანეთი - 2 საწარმო
- სამცხე ჯავახეთი - 1 საწარმო
- იმერეთი - 2 საწარმო
- სამეგრელო ზემო სვანეთი - 3 საწარმო
- გურია - 1 საწარმო

ამ ღონისძიების ფარგლებში 2015 წელს შეღავათიანი აგრო სესხის პროგრამით მხარდაჭერის უდიდესი ნაწილი სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების სახით გაეწია კახეთს, სადაც 1925 სესხი დაფინანსდა. მხარდაჭერის მასშტაბები სხვა რეგიონებში გაცილებით დაბალი იყო:

- ქვემო ქართლი - 484
- შიდა ქართლი - 665
- მცხეთა მთიანეთი - 60
- სამცხე ჯავახეთი - 177
- იმერეთი - 219
- რაჭა ლეჩხუმი - 14
- სამეგრელო ზემო სვანეთი - 164
- გურია - 19
- აჭარა - 24

ღონისძიება 3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები (ახალი სახეობების შემოწმება, კოოპერატივების განვითარება, სურსათის უვნებლობა, ღვინის ინდუსტრიის განვითარება).

ეს ღონისძიება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ოთხი სხვადასხვა სახის აქტივობისგან შედგება და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოთხი სხვადასხვა სააგენტოსა და ცენტრის მიერ ხორციელდება. ამ ღონისძიების ფარგლებში ყველაზე დიდი წილი მოდის „მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდამჭერი ვაუჩერების“ პროექტზე (ფინანსდება საბიუჯეტო კოდით 37 01 08), რომელსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. საერთო ჯამში ამ პროგრამაზე 2015 წელს 46 მილიონ ლარი დაიხარჯა. ამ თანხიდან ნაწილი მექანიზაციასა და მიწის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებზე დაიხარჯა, ხოლო დანარჩენი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის ვაუჩერების პროგრამაზე (სასუქი, მცენარეთა დამცავი ქიმიკატები და ა.შ).

პროექტს რეგიონებში 619 000 ბენეფიციარი ჰყავდა, რომელთაგან 195 000 მექანიზაციის მხარდაჭერა მიიღო, ხოლო ყველა დანარჩენმა (400 000 ფერმერზე მეტმა) სასუქის, მცენარეთა დამცავი ქიმიკატების და სოფლის მეურნეობისთვის საჭირო სხვა სახის დახმარების ვაუჩერები. ამ აქტივობების შედეგად დამატებით 225 000 ჰა სახნავი მიწა დამუშავდა და მასზე სხვადასხვა ნათესები დაითესა, რამაც გავლენა იქონია პროდუქციის რაოდენობასა და საშუალო მოსავლიანობაზე.

ყოველდღიური აქტივობების გარდა, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო რამდენიმე დაუგეგმავ ღონისძიებას ახორციელებს, რაც შიდა ქართლში კონფლიქტური ზონის მოსაზღვრე სოფლებში ხორბლის მოსავლის აღების მხარდაჭერას გულისხმობს. 1500-ზე მეტმა ფერმერმა 1700 ჰექტარ სახნავ ნაკვეთებზე ხორბლის

მოსავლის აღება სრულიად უფასოდ განახორციელა. დანახარჯმა 155 000 ლარი შეადგინა. მსგავსი პროექტი განხორციელდა კახეთის რეგიონებში - ყვარელსა და ლაგოდეხში - რომლებიც 2015 წლის აგვისტო -სექტემბერში სეტყვამ დააზარალა. სააგენტო 1500 ფერმერს 65 000 ლარის ღირებულების მცენარეთა დამცავი ქიმიკატებით დაეხმარა.

რეგიონული განაწილება

ცხრილი 1. „მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდამჭერი ვაუჩერების“ პროექტის რეგიონული განაწილება 2015 წელს

რეგიონი	ბენეფიციარების დაგეგმილი რაოდენობა	მხარდაჭერის დაგეგმილი ღირებულება (ლარი)	ბენეფიციარების რეალური რაოდენობა	მხარდაჭერის რეალური ღირებულება (ლარი)	რეალური ბენეფიციარების პროცენტული წილი(%) დაგეგმილთან მიმართებაში	რეალური ღირებულების პროცენტული წილი % დაგეგმილთან მიმართებაში
იმერეთი	165,079	11,189,870	138,717	9,753,039	84%	87%
კახეთი	100,650	9,139,833	81,057	7,696,094	81%	84%
სამეგრელო ზემო სვანეთი	101,235	7,781,618	86,353	6,870,769	85%	88%
ქვემო ქართლი	95,469	6,509,601	69,563	4,965,335	73%	76%
შიდა ქართლი	75,978	6,270,581	62,542	5,365,786	82%	86%
სამცხე ჯავახეთი	45,327	4,716,151	39,763	4,287,960	88%	91%
აჭარა	62,796	3,430,441	51,720	2,916,372	82%	85%
გურია	49,594	3,133,188	42,526	2,929,224	86%	93%
მცხეთა - მთიანეთი	40,334	2,955,724	26,435	2,103,693	66%	71%
რაჭა ლეჩხუმი	24,364	1,350,208	17,214	1,051,584	71%	78%

ქვემო სვანეთი						
თბილისი (ახლომდებარე სოფლები)	6,192	381,052	3,626	222,127	59%	58%
სულ	767,018	56,858,267	619,516	48,161,983	81%	85%

ფინანსური თვალსაზრისით ამ ღონისძიების ფარგლებში სიდიდით მეორე აქტივობაა „მევენახეობის განვითარების“ პროექტი, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს და რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 37 03 კოდით ფინანსდება. ღვინის ეროვნული სააგენტოს სამიზნე ღირებულება 2015 წლის ბიუჯეტში 19.9 მლნ ლარს შეადგენდა, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების შედეგად ეს თანხა 44.2 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2015 წლის პირველ ნახევარში სააგენტომ კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მხოლოდ 3.8 მლნ. ლარის დახარჯვა შეძლო. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში პროგრამის განხორციელება დაჩქარდა, რაც 40.51 მლნ. ლარის გამოყენების საშუალებას იძლეოდა, რომელმაც ჯამში 44,21 მლნ. ლარი შეადგინა. ქართული ღვინის პოპულარიზაციის აქტივობების ფარგლებში, ეროვნულმა სააგენტომ ჯამში 39 ღონისძიება ჩაატარა (6 საერთაშორისო გამოფენა, დეგუსტაციის 21 ორგანიზებული ღონისძიება, ერთი საერთაშორისო კონფერენცია და ერთი ღვინის ფესტივალი).

პოპულარიზაციის აქტივობების არაპირდაპირი შედეგი იყო 2015 წელს 46 უცხოურ ქვეყანაში 36 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინის ექსპორტი, რომლის საერთო ღირებულებამ 98.1 მილიონ დოლარს გადააჭარბა. თუმცა მეზობელი ექსპორტის ბაზრებზე არსებულმა ფინანსურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა გავლენა იქონია ექსპორტის მოცულობასა და ქართული ღვინის ექსპორტის ღირებულებაზე. ექსპორტის მოცულობა შემცირდა რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და ახალ ბაზრებზე ქართული ღვინის აქტიური პოპულარიზაცია. ღვინის ეროვნული სააგენტო მიიჩნევს, რომ პოტენციურ ახალ ბაზრებს, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი, ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით დიდი პოტენციალი გააჩნია და სამომავლო პოპულარიზაციის აქტივობების კონცენტრირება სწორედ აქ უნდა განხორციელდეს.

რეგიონული განზომილება

კახეთის რეგიონი ღვინის უდიდესი მწარმოებელია და ამ პროგრამის ფარგლებში სწორედ ღვინომ მიიზიდა სახსრების დიდი ნაწილი, როგორც ფერმერების პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მხარდაჭერის სახით. გამომდინარე იქიდან, რომ იგი ღვინის პოპულარიზაციის სამიზნე რეგიონს წარმოადგენს, ამ პროგრამიდან კახეთის 18 000-ზე მეტმა ფერმერმა პირდაპირი სარგებელი მიიღო.

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოდური (შემთხვევითი შერჩევა) უსაფრთხოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა იყო, რომელიც საქართველოს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) განახორციელა. ბიუჯეტის

გამიზნული ღირებულება 24.37 მლნ. ლარი იყო. წლის ბოლოსკენ სეს-ის მიერ ღონისძიებებზე დახარჯულმა თანხამ დაახლოებით 30 მილიონი ლარი შეადგინა რაც სამიზნე ბიუჯეტზე 23%-ით მეტი იყო.

ამ დანახარჯების შედეგად, სურსათის სააგენტომ 8 000-ზე მეტი რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის შემოწმება შეძლო, რაც ევროკავშირთან თანამშრომლობისა და ევროკავშირის სტანდარტებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა. ამასთანავე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მნიშვნელოვნად გაზარდა საკვები პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმება, რომლის დროსაც 4 218 ნიმუშზე მეტი კერძო და საჯარო ლაბორატორიებს გადაეგზავნა. ცხოველთა იდენტიფიცირების თვალსაზრისით, მონაცემების ბაზის გამოყენებით 402,000 მსხვილფეხა საქონელი და 86,000 ცხვარი იქნა იდენტიფიცირებული და მიკვლეული. ფიტო-სანიტარული ზომების კუთხით, სეს-მა მთელი ქვეყნის მასშტაბით 37 000 ჰექტარი მიწის ფართობის მცენარეთადაცვითი ქიმიკატებით შეწამვლა განახორციელა (ამერიკული თეთრი პეპლის და კალიის წინააღმდეგ).

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული 8234 ბიზნესოპერატორიდან, 1168 კომპანია დაჯარიმდა დახლებზე ვადაგასული საკვების არსებობის გამო. დაახლოებით 7 ბიზნესოპერატორი კი სახელმწიფო რეგულაციებთან შეუსაბამობის გამო დაჯარიმდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მცენარეთადაცვითი ღონისძიებების გატარებისას სოფლის დონეზე გარკვეულ პრობლემებს აწყდება. რიგ შემთხვევაში არ ხდება მეპატრონეების მიერ საძოვრებიდან პირუტყვის გაყვანა, ხშირად სააგენტო იძულებულია გადადოს დაგეგმილი ღონისძიებები, რაც თავის მხრივ დამატებით ადამიანურ და ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სეს-ის რეკომენდაციით, მუნიციპალიტეტის დონეზე უკეთესი კომუნიკაცია უნდა არსებობდეს, რათა ფიტო-სანიტარული ზომების გატარება წარმატებით განხორციელდეს.

რეგიონული განზომილება

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების უმეტესობა კარგად ნაწილდება ქვეყნის ყველა რეგიონში. 2015 წელს სააგენტომ სასურსათე და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებები შეამოწმა. ქვემოთ მოყვანილია რეგიონების სია და რეგიონულ დონეზე ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა:

- კახეთი – 633
- შიდა ქართლი – 472
- ქვემო ქართლი – 537
- მცხეთა-მთიანეთი – 235
- იმერეთი - 781
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 596
- სამცხე-ჯავახეთი – 361
- რაჭა - ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი – 91
- გურია – 321

სურსათის ნიმუშების და საკვების მწარმოებელი კომპანიების შემოწმება რეგიონალური განაწილების თვალსაზრისით კარგად დივერსიფიცირებულია. შემოწმების დროს გათვალისწინებულია თითოეულ რეგიონში მოსახლეობისა და საწარმოების რაოდენობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა იყო. 2015 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების სახით გაცემულია 5.8 მილიონი ლარი. 29 დამტკიცებული ბიზნეს გეგმიდან, საბოლოო ხელშეკრულება გაფორმდა 18 მათგანთან. 11 პროექტი უკვე დასრულდა და საწარმოები ფუნქციონირებენ. 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ახალი ცვლილებების წყალობით პროექტმა უკეთესი გამოხმაურება ჰპოვა. ეს ცვლილებები სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საშუალებას აძლევს დაფინანსება ქვეყნის 12 დამატებით მუნიციპალიტეტში გაანაწილოს. 2015 წლიდან გრანტის მოცულობა გაიზარდა 60% და პროექტის ჯამური ღირებულება შემცირდა 100,000 აშშ დოლარამდე. ეს პროგრამა დადებით გავლენას იქონიებს რეგიონალურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. პროექტის რეგიონური დაფარვა საკმაოდ პოზიტიურია.

2015 წელს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული ცვლილებები ქვეყნის ყველაზე მეტად მგრძობიარე რეგიონს შეეხო, რომელთაგან უმეტესი მაღალმთიან ზონას განეკუთვნება. მთავრობას ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ინვესტირების ხელშეწყობა სურს და ამ მიზნით გამარტივებულ იქნა ინვესტირების პროცედურები იმ კომპანიებისთვის, ვისაც ამ რეგიონებში ინვესტირების სურვილი გამოთქვას. გარდა ამისა, განსაკუთრებული პირობები შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის და მათ ინდივიდუალურ ფერმერებთან შედარებით გრანტის უფრო დიდი წილის მოპოვება შეუძლიათ.

რეგიონული განზომილება

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები კარგად დივერსიფიცირებულია რეგიონების მიხედვით. 2015 წელს რეგიონების მიერ 29 პროექტის დამტკიცება მოხდა (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 18 ხელშეკრულება გაფორმდა და 2015 წელს 11 პროექტი დაიწყო), სადაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსების წილმა შეადგინა (აშშ დოლარი):

- კახეთი - 3 საწარმო (474,000 \$)
- ქვემო ქართლი - 1 საწარმო (179,000 \$)
- შიდა ქართლი - 3 საწარმო (597,000 \$)
- მცხეთა მთიანეთი - 5 საწარმო (991,000 \$)
- სამცხე ჯავახეთი - 1 საწარმო (130,000 \$)
- იმერეთი - 3 საწარმო (621,000 \$)
- რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 1 საწარმო (140,000 \$)
- სამეგრელო ზემო სვანეთი - 8 საწარმო (2,095,000 \$)
- გურია - 3 საწარმო (960,000 \$)
- აჭარა - 1 საწარმო (400,000 \$)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც 2015 წელს ამ ღონისძიებების ფარგლებში გატარდა არის „სოფლის მეურნეობის კოოპერატივების ხელშეწყობი აქტივობები“. იგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება კოდით 37 01 05.

2015 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი განისაზღვრა 4,32 მილიონი ლარით, ხოლო წლის მანძილზე კორექტირების შემდგომ პროგრამის სამიზნე ღირებულება შემცირდა 2.68 მილიონ ლარამდე. პირველი 6 თვის განმავლობაში გაიხარჯა მხოლოდ 0,37 მილიონი ლარი, მაგრამ მეორე ნახევარში პროექტის განხორციელება დაჩქარდა და დანახარჯებმა 2.2 მლნ. ლარს მიაღწია. მთლიანობაში საბიუჯეტო დანახარჯებმა 2.57 მლნ. ლარი შეადგინა, რაც სამიზნე ღირებულების 95.9%-ს წარმოადგენს.

2015 წლის ბოლოს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე დარეგისტრირებული იყო 1264 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, მათგან 856 2015 წლის განმავლობაში შეიქმნა. ამ კოოპერატივებში გაერთიანებულია 9302-მდე დამფუძნებელი, რომელთა საპაიო შენატანების სახით მობილიზებული კაპიტალი 17 953 688 ლარს აღემატება. 2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში 461 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაიცა ხელის ტრაქტორები და 55 ხელის სათესი. გარდა ამისა, მთავრობამ სოფელ დარჩელში (ზუგდიდის რაიონი) ააშენა თხილის სასაწყობო საწარმო, რომელიც შემდგომ გრძელვადიანი იჯარით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „დარჩელს“ გადაეცა. ამ კოოპერატივს 500 დამფუძნებელი ჰყავს.

კოოპერატივების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები არ აღინიშნება. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში თანხების ნაკლებობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის დამატებითი სტიმულის მიცემის შესაძლებლობას ზღუდავს. ამავდროულად, სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ლოჯისტიკური და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა დაბრკოლებებსაც უქმნის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შორის დიფერენციული სტრატეგიის ნაკლებობა ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას ამცირებს. ადგილობრივ ფერმერთა ჯგუფებისთვის სურსათის უვნებლობა ასევე პრობლემას წარმოადგენს. ისინი ხარისხის და უსაფრთხოების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ. ამ სიტუაციიდან გამოსავლად სააგენტო მუნიციპალური ბიუჯეტის გაზრდას მიიჩნევს, რომლის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა მოხდება. ეს მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს განახორციელონ ინფრასტრუქტურული პროექტები. კოოპერატივები მუდმივად საჭიროებენ პოპულარიზაციასა და მარკეტინგს, მათ ასევე დამატებითი თანხები სჭირდებათ, რომ სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტების დასანერგად შესაბამისი ზომები მიიღონ.

2015 წელს სააგენტომ ასევე მიიღო დახმარება „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისგან“ (ENPARD). პროგრამის ფარგლებში გამოიყო 2.5 მლნ ევრო, რომელიც სააგენტოს და დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტექნიკურ მხარდაჭერასა და შესაძლებლობების გაზრდას უნდა მოხმარდეს.

რეგიონული განზომილება

კოოპერატივები მთელი ქვეყნის მასშტაბით კარგად გადანაწილებულია, თუმცა იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მთიანი რეგიონის ფერმერებისთვის ჩანს. თუ გავითვალისწინებთ მთიანი რეგიონის მკაცრ ბუნებრივ პირობებსა და მოსახლეობის სიმცირეს, კოოპერატივების წყალობით, ფერმერებს შეუძლია უზრუნველყონ თავიანთი ინფრასტრუქტურული საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე ფინანსებსა და ბაზრებზე უკეთესი წვდომა, რათა აწარმოონ და თავიანთი პროდუქციის რეალიზება მოახდინონ.

2015 წლის ბოლომდე დარეგისტრირებული სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი რეგიონულ ჭრილში ასე გამოიყურება:

- კახეთი - 70
- ქვემო ქართლი - 123
- შიდა ქართლი - 81
- მცხეთა მთიანეთი - 46
- სამცხე ჯავახეთი - 199
- იმერეთი - 72
- რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 74
- სამეგრელო ზემო სვანეთი - 71
- გურია - 120
- აჭარა - 101

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები

სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ცენტრი ახალი სახეობებისა და ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ახორციელებს. მათ სხვადასხვა კლიმატურ ზონაში სპეციალური სადემონსტრაციო ნაკვეთები აქვთ, სადაც ხილის, ბოსტნეულისა და მარცვლეულის ახალი სახეობების გამოცდას აწარმოებენ. 2015 წელს სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა დაასრულა 48 კვლევითი პროექტი. აქედან 43 პროექტი დაიწყო 2015 წლის პირველ ნახევარში და 5 პროექტი დაემატა 2015 წლის მეორე ნახევარში. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ მოწყობილი ნაკვეთების საერთო რაოდენობამ შეადგინა 122,9 ჰექტარი. აქედან დაახლოებით 30 ჰექტარი მოეწყო 2015 წლის პირველ 6 თვეში და 90,2 ჰექტარი 2015 წლის მეორე ნახევარში. კვლევითი ცენტრის ბიუჯეტმა შეადგინა 10 მილიონი ლარი, თუმცა ბიუჯეტის ცვლილების შედეგად ეს თანხა შემცირებულ იქნა 8.646 მილიონ ლარამდე. ბიუჯეტის შემცირების შემდეგ რეალურად წლის ბოლოსთვის ათვისებულ იქნა 8,28 მილიონი ლარი (95.8%).

ფერმერებს ნაკლებად სურთ ახალი ტექნოლოგიებისა და სახეობების შესახებ ინფორმაციის მიღება. ბიუჯეტის შემცირებამ ყველა დაგეგმილი ღონისძიების გატარების შესაძლებლობა შეზღუდა, რაც ზოოტექნიკური ლაბორატორიის შექმნასა და სასოფლო - სამეურნეო რისკების შეფასებაში მოკლევადიანი საერთაშორისო ექსპერტების მოწვევას უკავშირდებოდა. ეს ექსპერტები მოახდენენ თავიანთი ევროპული გამოცდილების გაზიარებას იმ რისკების მართვასთან დაკავშირებით, რაც სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში არსებობს. მიმდინარე შესყიდვითი პროცედურები ასევე წარმოადგენენ შესაძლებლობას, დროულად მივიღოთ საჭირო აღჭურვილობა და ტექნიკა.

სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების უკეთ მართვისა და საქმიანობების წარმატებით განხორციელებისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა:

- აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ფართომასშტაბიანი ექსტენციის ხელშეწყობა-განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერების გამარტივებული პროცედურების შემუშავება;
- პროცესებში საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართვა;
- რეგიონებში რეალური სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- წინასწარ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტების სეკვესტრირების მინიმუმამდე დაყვანა.

რეგიონული განზომილება

სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ცენტრის საქმიანობა ქვეყნის ყველა რეგიონში არ არიან წარმოდგენილი და მისი რეგიონული დაფარვა კლიმატურ ზონებზეა დამოკიდებული. 2015 წელს შექმნილი სადემონსტრაციო ნაკვეთების ჩამონათვალი და მათი რეგიონული დაფარვა ასეთია:

- კახეთი - 4 სადემონსტრაციო
- შიდა ქართლი -1 სადემონსტრაციო
- მცხეთა მთიანეთი -2 სადემონსტრაციო
- სამცხე ჯავახეთი -2 სადემონსტრაციო
- იმერეთი -2 სადემონსტრაციო
- რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი -1 სადემონსტრაციო

ღონისძიება 3.4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება

წლიური ფინანსური ინდიკატორების განსაზღვრა „მსოფილო ბანკის“ დაგეგმილი პროექტის საფუძველზე მოხდა. ეს ღონისძიება ფინანსდება „მსოფილო ბანკის“ სესხის საშუალებით და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ღონისძიება მიზნად ისახავს სოფლის-მეურნეობის მიწის ბაზრის განვითარებას, ფრაგმენტირებული ნაკვეთების კონსოლიდირების ხელშეწყობასა და სოფლის -მეურნეობაში ინვესტირების გაზრდას. საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით არანაირი პროგრესი არ აღინიშნა, რაც მთელი პროგრამის დაწყების 2016 წელს გადადებით არის გამოწვეული.

ღონისძიება 4.1 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ეს ღონისძიება რამდენიმე აქტივობისგან შედგება და მის საბოლოო მიზანს საქართველოში ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება წარმოადგენს. ამ აქტივობების ფარგლებში მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს ზედამხედველობით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს საქართველოს ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა, რეკლამირება და რეალიზაცია. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავითარებს ქართულ ბრენდს და ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიას ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე, რითაც მსგავს ტურისტულ ბაზრებზე საქართველოს კონკურენტუნარიანობას ზრდის; ატარებს პრეს და მედია ტურებს, ტურისტულ სექტორში ტრენინგებს და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო გამოფენებში.

ამ ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები 5 ძირითად მიმართულებად შეიძლება დაჯამდეს:

სამთო საფეხმავლო ბილიკების კვლევა და მარკირების პროექტის მომზადება

საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით პროექტი დაიგეგმა 4 რეგიონში, კერძოდ: სამცხე - ჯავახეთში, სამეგრელო ზემო -სვანეთში, რაჭა - ლეჩხუმი ქვემო სვანეთში, მცხეთა - მთიანეთში. 2015 წელს ეს რეგიონები შესაბამის

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად შესაძლო სამთო საფეხმავლო ბილიკების კვლევის პროგრამაში ჩაერთო. ასევე განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ისეთი კონცეპციების დასაწერად, როგორცაა:

- მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი ბილიკების დადგენა.
- ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილების დადგენა.
- რეკომენდირებული მარშრუტების მარკირების განხორციელება;

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება

საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა/რეაბილიტაცია გადაიდო 2016 წლისთვის. ვინაიდან ვერ მოხერხდა შესაბამისი მუნიციპალიტეტებიდან საოფისე ფართის გადმოცემა, თუმცა ფართის გადმოცემის საკითხი მოგვარებულია და ღონისძიების განხორციელება 2016 წელს დაიწყება

მომსახურების ხარისხის განვითარება

ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა 17 ტრენინგი (გადამზადების კურსი), ესენია: სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები, ტურიზმის სფეროს საბაზისო ინგლისური ენის კურსები და მომსახურებების უნარ-ჩვევები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, ზაფხულში 2015 წლის თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მხარდასაჭერად შესაბამის უნარ-ჩვევებში სპეციალური მომზადება ჩატარდათ მოხალისეებს/სტუდენტებს. EBRD-ის მოხალისე სტუდენტებისათვის ტრენინგები ჩატარდა შემდეგ საკითხებში: პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, საგადასახადო კოდექსისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხებში. მთლიანობაში 17 თემატური ტრენინგი ჩატარდა, თითოეული ქალაქსა და მუნიციპალურ ცენტრებში. რამდენიმე რეგიონსა და ქალაქში.

მარკეტინგული აქტივობებით ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა

საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის და უცხოელი ვიზიტორების მოსაზიდად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2015 წლის განმავლობაში ჩატარა სარეკლამო მარკეტინგული კამპანია 15 მიზნობრივ ქვეყანაში, მოაწყო 82 პრეს და გაცნობითი ტური (70 პრეს ტური საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, 12 ადგილობრივი პრეს და მედია საშუალებებისთვის), მონაწილეობა მიიღო 25 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში, სადაც ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, მოეწყო დიპლომატიური ტური საქართველოში აკრედიტირებული ელჩებისთვის.

ტურისტული პროდუქტი და ინფრასტრუქტურა

2015 წლის განმავლობაში შეიქმნა შემდეგი 4 ტურისტული პროდუქტი: რუკების ციფრული ფაილები, პილიგრიმული კატალოგი, თბილისისა და მის შემოგარენში ორმხრივი მანათობელი ბილბორდები თბილისისა და სხვა 17 ქალაქსა და დაბაში, საინფორმაციო ნიშნები „შენ იმყოფები აქ“, რომელიც მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილებს აღწერს. ველო ბილიკები დაბა გუდაურსა და ბაკურიანში. მომზადდა მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირების პროექტი შშმ პირთათვის.

2015 წელს 4.1. ღონისძიებისთვის მთლიანმა დანახარჯმა გაცილებით მეტი შეადგინა, ვიდრე თავდაპირველად იყო დაგეგმილი (რეალური დანახარჯი 23 მლნ. ლარი იყო ნაცვლად რეგიონალური განვითარების პროგრამის მონიტორინგის გეგმაში თავიდან გაწერილი 14.5 მლნ. ლარისა). ბიუჯეტის ასეთი ზრდა აიხსნება ჩატარებული ღონისძიების წარმატებით და ასევე ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განვითარებაში ტურიზმის დიდი პრიორიტეტულობით.

ზაფხულის მასშტაბური კამპანიების შედეგად გამოწვეულმა ვიზიტორების ზრდამ გვაჩვენა, რომ ადმინისტრაციის სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისთვის. შესაბამისად გამოიყო დამატებითი თანხები ზამთრის სეზონის მარკეტინგული კამპანიებისთვის.

მიღწეული შედეგები

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის 2025“ მიხედვით, ტურისტების საშუალო წლიური ზრდა 7 %-ით არის განსაზღვრული, რისი მიღწევაც მოხდა 2015 წელს, როდესაც შემოსვლების რაოდენობამ 5.9 მლნ-მდე შეადგინა, რაც 2014 წელთან შედარებით 7%-ით მეტია. ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების წარმატებით. გარდა მარკეტინგული და პოპულარიზაციის აქტივობებისა, მომავალ წლებში საქართველოში ტურიზმის მომსახურების გაუმჯობესება კვლავ რჩება ტურისტული პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად.

ღონისძიება 5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

2015 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის გეგმის თანახმად, ჩატარდა შრომის ბაზრის მოთხოვნათა კომპონენტის კვლევა, როგორც შრომის ბაზრის ჩამოყალიბების სამთავრობო სტრატეგიის ნაწილი (საქართველოს მთავრობის დადგენილება №199). კვლევა მიზნად ისახავდა დამსაქმებულების განწყობების /მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას, თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების აუცილებლობის გამოვლენას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ახდენენ გავლენას და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში დასაქმების პოტენციალის განსაზღვრას.

შრომის ბაზრის მოთხოვნათა კომპონენტისთვის, 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვლევის ჩასატარებლად 0.406 მილიონი ლარი გამოეყო და წლის ბოლოსთვის შესრულებამ 0.401 მილიონი ლარი შეადგინა (98.8%).

კვლევა განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და საქართველოს 11 რეგიონი მოიცვა. რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკითხა 6000 რესპოდენტი კომპანია, ხოლო თვისებრივის ფარგლებში - 240. კვლევის სავსე სამუშაოები ჩატარდა 2015 წლის მარტი-ივნისის თვეში.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა სტრატეგიული შერჩევა (რაიონირებული გადარჩევა). ყოველ მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში შერჩევა განხორციელდა ცალ-ცალკე. ყოველი მუნიციპალიტეტის სუბიექტები დაიყო სტრატეგიად (ფენებად), სტრატეგიისათვის კი გამოყენებული იქნა შემდეგი პარამეტრები:

- საკუთრების ფორმა (კერძო/საჯარო)
- დასახლებული პუნქტის ტიპი (ქალაქი/სოფელი)
- სიმაღლე ზღვის დონიდან (მთა/ბარი)
- საქმიანობის სფერო (NACE-ის სექციების დონეზე)
- ორგანიზაციის სიდიდე

მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული შერჩევის მოცულობა გადანაწილდა მუნიციპალიტეტის სტრატეგზე მათში სუბიექტების რაოდენობის პროპორციულად. ყოველ სტრატაში შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით.

კვლევამ აჩვენა დასაქმების შესახებ არსებული ტენდენციები, ასევე მოთხოვნადი პროფესიების განაწილება რეგიონების მიხედვით.

კვლევის შედეგებმა მიმდინარე ტრენდები და მოთხოვნადი პროფესიების სხვადასხვა რეგიონებზე განაწილების შესახებ ინფორმაცია გამოავლინა.

დონისძიება 5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ რეკომენდებულია 26 კოლეჯის დაფუძნება, რომლებიც საქართველოს რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს უპასუხებენ და მაღალი ხარისხის სერვისებს განავითარებენ. ინიციატივის მიზანია პროფესიულ განათლებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიწოდების გზით. წლის პირველ ნახევარში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა 15-ზე მეტი პოტენციური შენობა-ნაგებობების ვიზუალური შეფასება 7 რეგიონში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2015 წელს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების კუთხით. ცალკეული რეგიონების საჭიროებების შესწავლის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული არეალის გაფართოების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაიწყო (და რიგ შემთხვევებში უკვე დასრულდა) არსებული კოლეჯების სასწავლო ბაზების რეაბილიტაცია 8 დამატებით მუნიციპალიტეტში: ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ალვანი - კახეთი, ხობი, სენაკი - სამეგრელო-ზემო სვანეთი, ბაღდათი - იმერეთი, სტეფანწმინდა, თიანეთი - მცხეთა-მთიანეთი.

ასევე 2015 წელს მიმდინარეობდა 2014 წელს დაფუძნებული კოლეჯის (მცხეთა-მთიანეთი-მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი) ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი.

გარდა საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებისა, რეგიონებში საჭიროებების შესაბამისად დაწყებულია სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესები, რათა

კოლეჯებიდან მომორებით მცხოვრები მოსახლეობისთვისაც შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ განხორციელდა საზოგადოებრივ კოლეჯ "იბერიას" დაფინანსება სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტაციის მიზნით (იმერეთი - ქუთაისი), ხოლო მესტიაში მდებარე კოლეჯისათვის მომზადდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის პროექტი (სამეგრელო-ზემო-სვანეთი, მესტია).

ნორვეგიის განათლებისა და კვლევების სამინისტროს მხარდაჭერით უნივერსალური დიზაინის პროექტის შესაბამისად, რომელიც მორგებულია შშმ და სსსმ პირების საჭიროებებზე მიმდინარეობს 3 კოლეჯის (კახეთი - სოფ. კაჭრეთი, სამცხე-ჯავახეთი-ახალციხე, იმერეთი-ქუთაისი) რეაბილიტაცია.

საქართველოს მასშტაბით არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, მთელი წლის განმავლობაში 7 კოლეჯში მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები (სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ქვემო ქართლი). ასევე 10 კოლეჯში დაიწყო სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მოწყობის პროცესი (სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი).

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს პროფესიულ განათლებაში დაწყებული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა (მიმდინარეობს მუშაობა მოქნილი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიმართულებით). მოდულური პროფესიული პროგრამები უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით. გაანალიზდა სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯების ინფრასტრუქტურული საჭიროებები კონკრეტულ პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში და მუშაობა დაიწყო ტექნიკური აღჭურვილობისა და სასწავლო გარემოს ნორმატივებზე (კონკრეტული პროგრამების მიხედვით). ნორმატივები დაინტერესებულ მხარეებთან-შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან, პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან, დამსაქმებელთა ასოციაციასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დარგის სპეციალისტებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონსულტაციების გზით შეიქმნა. ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად განხორციელდა ყველა საჯარო კოლეჯის აღჭურვა (17 საგანმანათლებლო დაწესებულება-(სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი). გარდა ამისა, კოლეჯები აღიჭურვნენ ახალი საოფისე ავეჯით, პორტაბელური კომპიუტერებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

ღონისძიება 5.3. პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები

წლის პირველ ნახევარში UNDP-ს მხარდაჭერით გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებები ჩატარდა. მთლიანობაში მოხდება 8 პროფესიული კოლეჯისა და 7 სახელმწიფო საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის დახმარება, რომ მათ ფერმერებისთვის ინოვაციური, შესაფერისი და ეფექტიანი გადამზადების პროგრამები განავითარონ და საკონსულტაციო მომსახურება გაუწიონ.

პროექტი მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას მოდულური პროფესიული პროგრამის დანერგვის შესახებ. ახალი მიდგომის თანახმად, პროგრამების შემუშავებაც და სწავლებაც მოდულურ მიდგომას ემყარება და აქცენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე აკეთებს. 2016 წელს მოსალოდნელია მოდულური პროგრამის ჩატარების გეოგრაფიული არეალის გაზრდა. მოდულური პროგრამის მთავარი კომპონენტებია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრა, სწავლის შედეგებზე ორიენტირება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები. მამასადამე, სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის მოდულური პროგრამების შემუშავება და დანერგვა 2014 წელს დაიწყო და წარმატებით გაგრძელდა 2015 წელს: მოდულურ მიდგომაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა 8 აგრარული პროფესიისთვის. შედგა შესაბამისი სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები (8 პროფესიისთვის), ასევე ექსტენციური მუშაკებისა და კონსულტანტებისთვის შემუშავდა შესაბამისი სტანდარტები. თბილისში ექსტენციის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებში პროფესიულ განათლებაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია შემუშავდა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სწავლების პროცესს. 2015 წელს პროექტის ფარგლებში კონკრეტული სფეროებისთვის (მაგ. თბილისის წარმოება) შეიმუშავდა სპეციალური გადამზადების პროგრამა ფერმერებისთვის და შემდეგ ჩატარდა საპილოტე ტრენინგი, რაც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობაში ტრენინგ პროგრამების ქვეყნის მასშტაბით გამოყენებას (დამატებით უკვე არსებული პროფესიული სწავლების პროგრამებისა). პროექტი ითვალისწინებს თანამშრომლობის მხარდაჭერას რეგიონული ინფორმაციისა და საკონსულტაციო ცენტრსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის, დემონსტრაციული ნაკვეთების მოწყობის მიზნით, რომელიც ფერმერებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ეს თავის მხრივ ტექნოლოგიების, მარცვლეულებისა და სხვა ახალი ჯიშების გამოყენების შესახებ მათ ცოდნას აამაღლებს.

ღონისძიება 5.4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013 -2020წწ.) შემდეგ პრიორიტეტებს ასახელებს: პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი და განვითარება; კომპეტენციის განვითარებისთვის სისტემური და სისტემატიური ტრენინგების უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების დაწესებულებებში ახალი კადრების მოზიდვა, არსებული კადრების შენარჩუნება და მათი პროფესიული განვითარება.

2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოამზადა პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისათვის. 2014 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის #2624 განკარგულება „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტის მოწონების შესახებ“. 2015 წლიდან დაიწყო მუშაობა კონცეფციის სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებაზე 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად: 2015 წელს განხორციელებული აქტივობები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება და პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაცემთა ბაზის განახლება;

2015 წლის პირველი ნახევარი ძირითადად დაეთმო მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას, როგორც კვლევები მასწავლებელთა ტრენინგ-საჭიროებების გამოსავლენად და მასწავლებლების მონაცემთა ბაზის განახლება.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული მასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები 4 ძირითადი მიმართულებით:

- ა. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში;
- ბ. მოდულური სწავლების დანერგვაში;
- გ. ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში;
- დ. ტრენინგი საწარმოებში.

ა) ტრენინგ-მოდული „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები პროფესიული მასწავლებლების მასწავლებლებისათვის“ (კურსის ხანგრძლივობა 20 სთ), ჩატარდა 17 საჯარო კოლეჯში, მაის-ივლისში (37 ჯგუფი). ტრენინგი გაიარა სულ 452 პედაგოგმა (საჯარო მასწავლებლების პედაგოგთა საერთო რაოდენობის დაახლ. 60%);

ბ) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულები მოდულურ სწავლებაში პროფესიული მასწავლებლების მასწავლებლებისათვის. ტრენინგები განხორციელდა 2 ეტაპად:

1. ტრენინგ-მოდული „ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული მასწავლებლების მასწავლებლებისთვის შესავალი კურსი“ (12 სთ); ჩატარდა 18 საჯარო და 1 კერძო პროფესიულ მასწავლებელში, ივნის-ივლისში (24 ჯგუფი). ტრენინგები გაიარა სულ 545 პედაგოგმა (დაახლ. 72%);
2. მეორე ეტაპზე - ტრენინგ-მოდული „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“ (15 სთ), დეკემბერში ჩატარდა 19 საჯარო კოლეჯში (20 ჯგუფი). ტრენინგი გაიარა სულ 460-მა პედაგოგმა (საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა რაოდენობის დაახლ. 61%).

გ) მასწავლებელთა ტრენინგები ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით, ნორვეგიული გრანტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ-კურსი სახელწოდებით: „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება ნაწილი I“ (10 სთ), 2015 წლის 22 სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით 16 საჯარო კოლეჯში (23 ჯგუფი). ტრენინგი გაიარა სულ 399-მა პედაგოგმა (დაახლ. 53%);

დ) საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საწარმოებში ტრენინგები, თანამედროვე ტექნოლოგიებში, ივლის-დეკემბერში ჩატარდა 29 დასაწერგი მოდულური პროფესიული პროგრამის მიმართულებით (30 ჯგუფი), ტრენინგი გაიარა სულ 210-მა მასწავლებელმა (დაახლ. 28%). აღსანიშნავია, რომ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საწარმოებში ტრენინგები პირველად 2014 წელს დაიწყო. 2015 წელს მომზადდა მასწავლებელთა რეალურ სამუშაო გარემოში ტრენინგების განხორციელების კონცეფცია (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს - MCA მხარდაჭერით), რომლის მიხედვითაც წლის მეორე ნახევარში განხორციელდა შესაბამისი ტრენინგები.

2. ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფი (სოციალური პარტნიორების, სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კოლეჯების წარმომადგენელთა მონაწილეობით), განისაზღვრა ჯგუფის სამოქმედო გეგმა

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფი (სოციალური პარტნიორების, სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კოლეჯების წარმომადგენელთა მონაწილეობით) და განისაზღვრა ჯგუფის სამოქმედო გეგმა. წლის მეორე ნახევარში სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფის მუშაობა, რაც მხარდაჭერილია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის - „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის“ (EUVEGE) მიერ. თემატური ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელთა მომზადებასა და დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში.

- პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი.
- სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კოორდინატორების შერჩევის და საქმიანობის წესი
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წესი
- მასწავლებელთა რეგისტრაციის წესი
- მასწავლებელთა ანაზღაურების წესი
- მოხდა მასწავლებლის სტანდარტის განხილვა უცხოელი ექსპერტის ჩართულობით
- შემუშავდა მასწავლებელთა პედაგოგიური გზამკვლევისა და საბაზო პედაგოგიური კურსის პროექტები.

პროფესიული განათლების რეფორმისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პროფესიულ გადამზადებას რეგიონებში, რადგან ეს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად პროფესიული განათლების პოტენციალის ზრდის წინაპირობაა. ღონისძიების განხორციელებაში ჩართული იყო საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, გურია). მთლიანობაში რეგიონებიდან 110 მასწავლებლის გადამზადება მოხდა.

ღონისძიება 5.5 რეგიონებში საჯარო მოსამსახურეების გადამზადება

2015 წელს „ვანო ხუხუნიანიშვილის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“ მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მოხელეების უწყვეტი სწავლების სისტემის შემუშავება და განხორციელება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით „ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფცია და მისი განხორციელების შესაბამისი სამოქმედო გეგმის“ მოწონების თაობაზე“ 2014 წელს დამტკიცდა.

ცენტრი დასახელდა უწყებად, რომელიც ახორციელებს სწავლების სისტემის კოორდინაციას, სასწავლო-მეთოდურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას. ასევე, სწავლების სისტემაში ჩართული უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობის კოორდინაციის, სწავლების პროცესში ერთიანი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით ცენტრმა ჩამოაყალიბა ცენტრის სათათბირო ორგანო - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭო, რომელიც სწავლების სისტემის შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე იქნება პასუხისმგებელი. სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა მუხლი 132, რომლის საფუძველზეც, 2015 წლის 7 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“.

2015 წლის დასაწყისში „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრსა“ და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც 1520 ადგილობრივი და ეროვნული მოხელის გადამზადების მხარდაჭერის უზრუნველყოფას გულისხმობს. ტრენინგის პროგრამა 85 ინდივიდუალური ტრენინგისგან შედგება და 29 განსხვავებულ თემას შეეხება. პროექტის ფარგლებში „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“ მხარდაჭერით გადამზადება 1560 საჯარო მოხელეს ჩაუტარდა, რომელთაგან 1406 ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე იყო, ხოლო 154 - ცენტრალური მთავრობის მოხელე. სქესის თვალსაზრისით, ქალებმა ტრენინგში მონაწილეთა 39% შეადგინეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ხოლო 52% - ცენტრალური ხელისუფლების დონეზე.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში სახელმწიფო კანცელარიასთან, საჯარო სამსახურის ბიუროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან პარტნიორობით ჩატარდა 22 ტრენინგ-ლონისძიება (4122 ტრენინგ/ადამიანი დღე) ოთხ პრიორიტეტულ თემაზე (საზოგადოებრივი ურთიერთობები, ეთიკა, ელექტრონული ბიუჯეტირება და სახელმწიფო ელექტრონული ხაზინა) 779 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოხელეებისთვის, საიდანაც 61% ქალი და ქვეყნის მასშტაბით 76 თვითმმართველობის ორგანოსა და 9 გუბერნიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყვნენ.

მთლიანობაში 2015 წელს პროექტის ფარგლებში 106 კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ ღონისძიება ჩატარდა (7 422 ტრენინგ/ადამიანი დღეში). ტრენინგები 33 თემატიკას შეეხებოდა და მასში მონაწილე საჯარო მოხელეების რაოდენობამ 2 339 შეადგინა, რომელთა 47%-ზე მეტი ქალი მოხელე იყო.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საქართველოს მთავრობამ „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს“ თვითმმართველობებისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად 170 მილიონი ლარი გამოუყო. წლის ბოლოსთვის ეს თანხა 175 მილიონ ლარამდე გაიზარდა (საქართველოს მთავრობის 22/12/2015 წლის დადგენილება #2791).

წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი თანხების ძირითადი ნაწილი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებას მოხმარდა. ფაქტობრივად, პროექტების განხორციელება მხოლოდ 2015 წლის მაისიდან დაიწყო. 30 ივნისისთვის ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 360 პროექტის ჩასატარებლად. პროექტების საერთო ღირებულებამ 129 მილიონი ლარი შეადგინა. ტენდერების გზით დაზოგილი თანხები დამატებით ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდა. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში ყველა ეს პროექტი განხორციელდა და მოხდა სხვა პროექტების დამატება, რომელთა შესახებ ხელშეკრულებას 30 ივნისის შემდეგ მოეწერა ხელი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი 2015 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ასახავს. ცხრილში მოცემულია სამუშაოების პროცენტულობა ყოველწლიურობის ჭრილში და ასევე 2015 წლის ჭრილში - წლიური გეგმის შესაბამისად. სამუშაოების უმეტესი ნაწილი 2015 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა. უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივმა განხორციელებულმა სამუშაოებმა დაგეგმილს გადააჭარბა.

ცხრილი 2

სამუშაოს დასახელება	2015 წლის მეორე კვარტალი	2015 წელს დაგეგმილიდან	2015 წელი	2015 წელს დაგეგმილიდან
სოფლის გზები (კმ)	379.6	87.1%	436	105%
წყალმომარაგების ქსელი (კმ)	538.2	97.4%	552.3	118%
წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები (პროექტები)	52	100.0%	52	106%
საბავშვო ბაღები (ერთეულები)	128	100.0%	128	112%
სპორტული ობიექტები (ერთეულები)	22	100.0%	22	96%
კულტურული ობიექტები (ერთეულები)	24	100.0%	24	100%
გარე განათება (კმ)	50.8	100.0%	50.8	100%

ხიდები (ერთეულები)	15	100.0%	15	107%
ზღვის ნაპირსამაგრი სამუშაოები (კმ)	2.4	100.0%	2.4	100%
სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემები (კმ)	40	100.0%	40	102%
მრავალბინიანი კორპუსების გადახურვა და ეზოების კეთილმოწყობა (ერთეული)	264	100.0%	264	120%
სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები	127	100.0%	127	134%

2015 წელს ტენდერების შედეგად მიღებული 23 მილიონი ლარის დანაზოგით დამატებით დაფინანსდა მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტები, ხოლო საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები დაკორექტირდა პროექტების სახელშეკრულებო თანხების შესაბამისად. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა დაგეგმილზე მეტი მუნიციპალური პროექტის განხორციელება. საბოლოო ჯამში დაახლოებით 600 პროექტი დაფინანსდა. 2015 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში დაზოგილი თანხები რამდენიმე დამატებით პროექტს მოხმარდა, მაგრამ მათი 2015 წელს დასრულება ვერ მოესწრო. 2016 წლის პირველ კვარტალში მიმდინარეობს 12,9 კმ. გზის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტი, 28,7 კმ. წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია, 12 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია, 1 სპორტული ობიექტის მშენებლობა და 10 სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაცია. ყველა დაფინანსებული პროექტი შეესაბამება 2014-2021 წლების რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და ამ სტრატეგიების 2015 -2017 წლების სამოქმედო გეგმებს.